ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ლევან ხაბეიშვილი: „თავში მირტყამდნენ და ასე შემაგდეს მერიაში“



გვ.2

3 ოქტომბრიდან

იორამ ჩადუნელი

საზღაური

ქართული დეტექტივი მე-3 ტომი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი



ოთხშაბათი, 4 ოქტომბერი, 2017 №235 (7469) ფასი: 50 თეთრი

# „ნაციონალების მთავარი მფარველი ბიძინა ივანიშვილია“



გვ.5

## ლაშა ჩხარტიშვილი: „როცა ნაცმოძრაობა ივანიშვილს წყევლის, მისი ძუძუები ლოცავენ“

## გიგლა ბარამიძე: „კუმურდოელებთან ჩემი გუბერნატორობის დროსაც იყო პრობლემები, მაგრამ მათთან საერთო ენის გამონახვა შევძელით“



გვ. 3

„ჯავახეთში ვითარებას ნაციონალები ურევდნენ“

## ზაზა ბიბილაშვილი: „ივანიშვილის ოჯახის კონსტიტუციით ქართველი ხალხი არ იცხოვრებს“



გვ.2

### სამართალი გვ.7

კობა დავითაშვილი სასამართლოში დაკითხვაზე ეტლით მიიყვანეს





გიორგი ოქიანი: „აქციაზე დაკავებულ ადამიანებს არანაირი სამართალდარღვევა არ ჩაუდენიათ“

ლია მუხაშავრია: „ადრე თუ გვიან სააკაშვილის ექსტრადირება მოხდება. ეს უბრალოდ დროის საკითხია“





ადვოკატი: „დეკანოზი გიორგი მამალაძე ექიმების განსაკუთრებული კონტროლის ქვეშაა“

### ეკონომიკა გვ.6



კავკასიაში ხის კენწეროების პირველი ბილიკი შესაძლოა ლაგოდეხში მოეწყოს



რა აფერხებს ქართული დელიკატესის — დამბალხაჭოს მასობრივ წარმოებას



გახდება თუ არა თბილისი ცათამბჯენების ქალაქი?

ISSN 1987-9385

5 სექტემბერში დასაქმების სააგენტოებში ვაკანსიები 15%-ით გაიზარდა

4 „თბილისის მომავალმა მერმა ინვესტორებთან მიდგომა უნდა გაამარტივოს“

5 რა სახის პრეპარატები გამოიყენება აზიურ ფაროსანასთან საბრძოლველად?

4 ჯემალ გამახარია: „კატალონიისა და აფხაზეთის მოვლენებს შორის საერთო არაფერია“

# ზაზა ბიბილაშვილი: „ივანიშვილის ოჯახის კონსტიტუციით ქართველი ხალხი არ იცხოვრებს“

ნათია ხურცილავა

**ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ზაზა ბიბილაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ნაციონალური მოძრაობის მიერ დაგეგმილ პერმანენტულ აქციებსა და საკონსტიტუციო ცვლილებებზე საუბრობს.**

***– ბატონო ზაზა, თბილისის საკრებულოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ნაციონალური მოძრაობა საპროტესტო აქციით გამოეხმაურა. ასევე დაანონსდა, რომ აქციები პერმანენტული იქნება. ეს არის აქცია აქციისთვის, რომელიც არის საარჩევნო კამპანიის ნაწილი თუ ფიქრობთ, ასეთი აქციით გარკვეულ შედეგს მიაღწევთ?***

– ქვეყანა რეალური პრობლემის წინაშე დგას. ეს არ არის ხელისუფლება, რომელიც მოვიდა და მშვიდად წავა, მაშინ, როდესაც ამ განაჩენს მას ხალხი გამოუტანს. პრობლემა არის ის, რომ ჩვენს ქვეყანას დაეპატრონა ძალა, რომელსაც მხოლოდ ერთი მოტივაცია აქვს: როგორ გამდიდრდეს, როგორ იცხოვროს ფუფუნებაში, როგორ წაჰგლიჯოს ბიუჯეტს თანხები, როგორ მიითვისოს ისტორიული ქონება, დედაქალაქის ისტორიული ცენტრი როგორ გაანადგუროს. ამას ემატება აჭარის უნიკალური ეკოსისტემის განადგურება.

ამ ყველაფრის შემდეგ წარმოგიდგენიათ, ასე მარტივად თქვას ამ ხელისუფლებამ ამაზე უარი?! ინფრასტრუქტურული პროექტები შეჩერებულია, ლარის კურსს აქვს პრობლემები, ხელფასები არ იზრდება, პენსიები არ იზრდება, ადამიანების ცხოვრების დონე კი არ უმჯობესდება, უარესდება. რატომ? იმიტომ, რომ ივანიშვილი და კალაძე – ეს კლანები მოსული არიან სათავისოდ, საშოვარზე არიან მოსული. ამისთვის კი ყიდიან ჩვენი ქვეყნის ინტერესებს. მაგალითისთვის „გაზპრომს“ დაგისახელებთ, ასევე, ორი დღის წინ მომხდარ ფაქტს – ერთ ლარად ბიძინა ივანიშვილისთვის ქონების გადაცემის ფაქტს. დედაქალაქის ისტორიულ ცენტრზეა საუბარი.

შარშან, დაახლოებით ამ დროს, ივანიშვილი გამოდიოდა და ამბობდა, სააკაშვილი მაიძულებდა, ბოტანიკური ბაღი ამელო, მაგრამ როგორ ავიღებდი ქვეყნის, ხალხის საკუთრებასო. ერთი წლის თავზე ბათუმის ბოტანიკური ბაღი ჩაიგდო ხელში, თბილისის ბოტანიკური ბაღი ჩაიგდო ხელში და თაბორის მთაც. ეს უნდა დასრულდეს, რადგან ამ ვითარებაში ჩვენს ქვეყანას მომავალი არ გააჩნია. რაც მთავარია, ყველაფერს აკეთებს იმის საპირისპიროდ, რასაც ამბობდა.

თავის დროზე გახსოვთ ბენდუქიძესთან დაკავშირებული ბრალდება, რომ თურმე ერთ ლარად შეიძინა აგრარული უნივერსიტეტი, რაც ტყუილი იყო, რადგან კახა ბენდუქიძემ ნასყიდობაში მრავალი მილიონი გადაიხადა და ათეულობით მილიონი განათლებაში ჩადო.

***– არ არის დამაკმაყოფილებელი ის განმარტებები, რომლებიც გაკეთდა თაბორის მთასთან დაკავშირებით, რომ სარეკრეაციო ზონა მოეწყობა და პუშკინის სკვერთან სამდონიანი ავტოსადგომი გაიმართება? არ შეიძლება, ეს პრობლემის მოხსნისკენ იყოს მიმართული თუ მხოლოდ პირადი ინტერესია?***



– მხოლოდ პირადი ინტერესია. როგორ, გჯერათ, რომ თაბორის მთას სტატუსის შეცვლა სჭირდება იმისთვის, რომ იქ სარეკრეაციო ზონა მოეწყოს?! თაბორის მთა არის თბილისის ისტორიული გულის ნაწილი, სადაც ბრძოლები იმართებოდა, სადაც ერეკლე მეფემ ბოლო ზღუდე აღმართა. თუ პრობლემის მოგვარებაზეა საუბარი, მოაგვაროს, მაგრამ ერთ ლარად რატომ მიაქვს სახელმწიფოს ქონება და თავისი კომპანიის სახელზე რატომ იფორმებს?! ამიტომ ვამბობთ, რომ საქმე გვაქვს ერთი ოჯახის ფეოდალურ მმართველობასთან. მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტის სასახლეს აშენებდა, მაგრამ „ოცნება“ ყვიროდა, თავისთვის უნდაო.

***– პერმანენტული აქციები შედეგზეა გათვლილი თუ ეს წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილია?***

– პერმანენტული აქციები მოიტანს იმ შედეგს, რომელიც ივანიშვილს საკუთარ ადგილს პოლიტიკურ სანაგვეზე მიუჩენს.

***– საკრებულოს გადაწყვეტილება საკრებულოს დატოვებით გააპროტესტა დამოუკიდებელმა დეპუტატმა ალეკო ელისაშვილმა. მან ოპოზიციას, მათ შორის ნაციონალურ მოძრაობას მოუწოდა, რომ მათაც დატოვონ საკრებულო. მსგავსი გადაწყვეტილება არ იყო მისაღები თქვენი პარტიისთვის?***

– სასაცილოა ეს კანდიდატი, როგორც ასეთი. მისი პოლიტიკურ სცენაზე შემოსვლის მიზანი ჩემთვის იმთავითვე ნათელია.

***– რა არის მიზანი?***

– მისი მოტივაცია ჩემთვის იმთავითვე ცხადია და თბილისის ამომრჩევლები უახლოეს კვირებში ამას კიდევ უფრო ნათლად დაინახავენ. საკრებულოში რამდენიმე დღის წინ რეალური ბრძოლა იყო და, სანამ ვინმეს რამეს მოუწოდებდა, მანამდე საკრებულოში ოპოზიციას ბრძოლა ჰქონდა, ის კი თავჩარგული ტელეფონში იცქირებოდა და ხმას არ იღებდა. ელისაშვილის საქციელი ცოტა შიხიაშვილის საქციელს ჰგავს, რომელმაც 1 ოქტომბრის მერე გადაწყვიტა, რომ „ოცნებას“ შეერთებოდა. გვიანია უკვე, მას თუ უნდოდა რამე საკითხზე ყვირილი, ამის შესაძლებლობა ჰქონდა, ამიტომ დღეს არადამაჯერებელია, არაგულწრფელია მისი გადაწყვეტილება.

***– თავის დროზე ელისაშვილს ნაციონალური მოძრაობა დახმარებას ჰპირდებოდა ხელმოწერების შეგროვებასთან დაკავშირებით და ახლა ფიქრობთ, რომ შემოგდებული კანდიდატია?***

– ჩვენ დახმარებას ვპირდებოდით, რომ გამოაშკარავებულიყო ის პრობლემა, რომელიც თითქოს მას ჰქონდა და ვიღაცისგან იჩაგრებოდა, ხელოვნური იყო. მალევე დადასტურდა, რომ მას არჩევნებში მონაწილეობას არავინ უშლიდა და ეს ყველაფერი იყო ხელოვნური.

***– კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც თქვენი პოზიცია მაინტერესებს. საკონსტიტუციო პროცესის კულმინაცია რა შეიძლება იყოს?***

– კულმინაცია არის ასეთი: რაც არ უნდა მოხდეს, ქართველი ხალხი ივანიშვილის ოჯახის კონსტიტუციით, ერთპარტიული კონსტიტუციით არ იცხოვრებს. აქამდე რა გზით მივალთ, ეს სხვა საკითხია. ეს ხალხზეა დამოკიდებული.

***– პრეზიდენტისგან ვეტოს ელოდებით?***

– დარწმუნებული ვარ, რომ პრეზიდენტი ერთპარტიულად მიღებულ საკონსტიტუციო ცვლილებებს ვეტოს აუცილებლად დაადებს. ასევე, დარწმუნებული ვარ, რომ პარლამენტში არსებული ეს უმრავლესობა ამ ვეტოს დაძლევს, მაგრამ ჩვენ, ამ ქვეყნის მოქალაქეებს, რა დაგვრჩება აქედან, ეს არის საკითხავი. დაგვრჩება ის, რომ საქართველოს არალეგიტიმური კონსტიტუცია ექნება და ხალხს მხოლოდ ერთი არჩევანი დარჩება, რომ ივანიშვილი და მისი მოღალატე, საშოვარზე მოსული ძალა სახლში გაუშვას ისე, როგორც ისინი იმსახურებენ და არა ისე, როგორც ეს შეიძლება მომხდარიყო.

***– ოპოზიცია პრეზიდენტს მოუწოდებს, რომ ერთობლივად შემუშავებული დოკუმენტი გადაუგზავნოს პარლამენტს მოტივირებულ შენიშვნებად. პრეზიდენტი საკუთარ შენიშვნებს გაუგზავნის პარლამენტს თუ ოპოზიციის?***

– ვერ გეტყვით, ეს პრეზიდენტის ადმინისტრაციას უნდა ჰკითხოთ. თუმცა, საქართველოში, ვენეციის კომისიაში სრული კონსენსუსია არსებული კონსტიტუციის პროექტის წინააღმდეგ. ყველა ამბობს, რომ ეს არის უკან გადადგმული ნაბიჯი. ეს არის ანტიდემოკრატიული. ეს ცვლილებები პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის დემოკრატიული არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლას. ასევე, ამ ცვლილებებით შეუძლებელი ხდება პრეზიდენტის არჩევა პირდაპირი წესით, ხალხის მიერ და პარლამენტის სამართლიანი გზით არჩევა. შესაბამისად, ამ კონსტიტუციით ქართველი ხალხი არ იცხოვრებს. თუ როგორ დაამთავრებს ის ძალა, რომელმაც ეს კონსტიტუცია თავს მოგვახვია, ამას დრო ძალიან მალე გვიჩვენებს.

# ლევან ხაბეიშვილი: „თავში მირტყამდნენ და ასე შემაგდეს მერიაში“

## „მკურნალობა ამათ სჭირდებათ“

შორენა მარსაგიშვილი

**თბილისის მერიასთან 2 ოქტომბერს განვითარებულ მოვლენებს პრემიერ-მინისტრი მთავრობის სხდომაზე გამოეხმაურა. მან დიდი დრო დაუთმო აქციაზე დაბეგვილ ლევან ხაბეიშვილს. პრემიერმა ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის 6 წლის წინ ფეისბუქზე გამოქვეყნებული პოსტი გაიხსენა, სადაც ლევან ხაბეიშვილი 2011 წლის 26 მაისის დარბევას ეხმიანებოდა და წერდა, რომ რუსთაველიდან პოლიტიკური ნაგავი გაიტანეს.**



პრემიერის გარდა, ამ ახალგაზრდით პროკურატურაც დაინტერესდა. საგამოძიებო უწყებაში მისი გამოკითხვა მოხდა. ნაციონალურმა მოძრაობამ 2 ოქტომბრის დარბევის ამსახველი ვიდეომასალა დიპლომატიურ კორპუსსაც გადაუგზავნა.

რა კითხვები ჰქონდა პროკურატურას, რა მოხდა სინამდვილეში მერიის შენობაში, ნანობს თუ არა იმ ავადსახსენებელი პოსტის დაწერას, რით ხსნის პრემიერისგან ასეთ ყურადღებას? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ლევან ხაბეიშვილი ესაუბრება.

***– ლევან, თქვენ და თქვენი თანაპარტიელები აქტიურად აპროტესტებთ 2 ოქტომბერს თბილისის მერიასთან განვითარებულ მოვლენებს. ამ დროს „ქართულმა ოცნებამ“ ამოგიქექათ ფეისბუქზე გამოქვეყნებული პოსტი, სადაც 26 მაისის დარბევას „აპრავებთ“. ამაზე რის თქმა შეგიძლიათ?***

– „ქართულმა ოცნებამ“ ეს სტატუსი ამომიქექა და ეგონათ, თავის მართლებას დავიწყებდი. თავის მართლებას არ ვაპირებ. 2011 წლის 26 მაისს მართლა დავწერე, რომ თავისუფლების მოედნიდან გაიტანეს პოლიტიკური გვამები. დიახ, 2011 წელს მიმაჩნდა, რომ ნინო ბურჯანაძე იყო პოლიტიკური გვამი და გრუ-ს აგენტი. ახლა 2017 წელია და ახლაც იმავეს ვფიქრობ.

26 მაისის დარბევას არსად არ „ვაპრავებ“. კარგი იქნება, თუ „ოცნება“ ამ დარბევაზე არ ილაპარაკებს. 26 მაისის დამრბევები მერიაში მოიკითხონ. ვალერი პაპიაშვილი არის მერიის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი, 2011 წელს შსს-ში ერთ-ერთი სამმართველოს უფროსი იყო. პაპიაშვილი იმ აქციაზე იმყოფებოდა.

გია უკლება არის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსი, რომელიც კუდის ოფიცერი იყო. ვანო ზარდიაშვილსა და ლევან მურუსიძეს მოჰკითხონ, ლევან ხაბეიშვილს რომ მიახტნენ. ვამპირი არ ვარ, ადამიანების ჩახოცვა რომ გამიხარდეს.

***– პრემიერის განცხადებაზე რას იტყვით? მთავრობის სხდომაზე მან საკმაოდ დიდი დრო დაგითმოთ.***

– პრემიერი რომ ხაბეიშვილის 6 წლის წინანდელ პოსტებს კითხულობს, კარგადაა ჩვენი საქმე. სხვა რომ ვერაფერი ამომიქექეს, ფეისბუქს მიადგნენ. თურმე 5 წლის წინ პოსტი დამიწერია.

ამდენ დროს რომ უთმობენ მთავრობის სხდომაზე ჩემზე საუბარს, სრული კლინიკა სჭირთ. მათ აშკარად ეშინიათ ნაციონალური მოძრაობის. ჩემზე საუბრის გარდა, პრემიერმა განაცხადა, ივანიშვილი ჩვენგან ასეთ მოქცევას არ იმსახურებდაო. მანამდე ოლიგარქზე დილის ლოცვა აღავლინა. მე ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა.

მთავრობის მეთაურმა მერია გააკრიტიკა, კარგად დაიცავით არქიფოო. სავარაუდოდ, არქიფოსგან მოუვიდათ ბრძანება, ჩემთვის მიწის ჩუქება გააპრავეთო. ამათ არაფერი აღარ ეშველებათ, მკურნალობა სჭირდებათ.

***– მერიამ გამოაქვეყნა ვიდეო, სადაც ჩანს, რომ თქვენზე ზრუნავენ. თქვენ ამბობთ, რომ გაილახეთ და ცუდად გახდით. რა მოხდა მერიაში?***

– 2 ვიდეო გავავრცელე. ფაქტია, რომ აქციიდან მომიპარეს და „ტალპაში“ შემაგდეს. ამის დანახვა თუ არ უნდათ, ნუ დაინახავენ. სიმართლე ისაა, რომ კიბეებიდან კარებამდე მირტყამდნენ. მერიის მიერ გავრცელებულ ვიდეოშიც ნათლად ჩანს, რომ შემაგდეს და ძირს ვაგდივარ. იქ წამოსაწოლად არ შევსულვარ.

თუ არაფერი არ იყო და ცუდად არ ვიყავი, ან ფეხები რატომ ამაწევინეს, ან სასწრაფოს რატომ იძახებენ. ცუდად ვარ იმის გამო, რომ მცემეს, რაფაელო და კარაქიანი პური არავის უჭმევია ჩემთვის.

მაინცდამაინც დასისხლიანებული უნდა გამოვსულიყავი, რომ რა-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გიგლა ბარამიძე: „კუმურდოელებთან ჩემი გუბერნატორობის დროსაც იყო პრობლემები, მაგრამ მათთან საერთო ენის გამონახვა შევძელით“

შორენა მარსაგიშვილი

**ბრუნდება თუ არა ჯავახეთში 90-იანი წლები, როგორ მუშაობდნენ იქ სხვა ქვეყნების სპეცსამსახურები, რა ინფორმაციები ჟონავდა უშიშროების საბჭოდან, ვის ინტერესშია სასაზღვრო რეგიონებში არეულობის მოწყობა, რა ხდება კუმურდოში, რა უნდა გააკეთოს საქართველოს ხელისუფლებამ? – ამის შესახებ „ახალ თაობას" სამცხე-ჯავახეთის ყოფილი გუბერნატორი, ყოფილი პოლიტდევნილი გიგლა ბარამიძე ესაუბრება.**

***– რამდენიმე დღის წინ ახალქალაქის რაიონის სოფელ კუმურდოში სერიოზული ინციდენტი მოხდა და ჯავახეთის საკითხი კვლავ აქტუალური გახდა. საუბარია იმ ძალების გააქტიურებაზე, რომლებიც ჯავახეთის ავტონომიას ითხოვენ. გასული საუკუნის 90-იან წლებში ამ რეგიონში უმძიმესი მდგომარეობა იყო, საქართველოს ხელისუფლება ახალქალაქსა და ნინოწმინდაში ვერ შედიოდა. იმ დროში ხომ არ ვბრუნდებით?***

– იმ დროში არ ვბრუნდებით, მაშინ მართლა წარმოუდგენელი რამე ხდებოდა ჯავახეთის რეგიონში. ჯავახეთი ტერიტორიულად საქართველოს ნაწილი კი იყო, მაგრამ ცენტრალურ ხელისუფლებას, რომელიც ძალიან სუსტი იყო, პოლიტიკურად არ ექვემდებარებოდა.

ახალქალაქისა და ნინოწმინდის გამგეობების შენობებზე გამოფენილი იყო სხვადასხვა ქვეყნების და სხვადასხვა სიმბოლიკიანი დროშები. სამაგიეროდ, იქ არ იყო საქართველოს სახელმწიფო დროშა. არსად არ იყო ქართული წარწერები.

ეს უცხო დროშები ჩემი ხელით ჩამოვხსენი და ქართული აღვმართე. დროშის ჩამოსახსნელად რომ ავდიოდი, თან იმას ვფიქრობდი, ვიღაცამ ზურგში ტყვია არ მესროლოს-მეთქი.

პრეზიდენტის რწმუნებულს ჯავახეთში არ უშვებდნენ. ახალქალაქში რომ შესულიყავი, შლაგბაუმები უნდა გაგევლო. მეც მომიწია ამ შლაგბაუმის გავლა და პირველი რწმუნებული ვიყავი, რომელიც ჯავახეთის ტერიტორიაზე შევიდა.

სამცხე-ჯავახეთში პრეზიდენტის რწმუნებულად დანიშვნამდე სომხეთში საქართველოს ელჩი ვიყავი. ერევანში ბევრი ნაცნობი მყავდა და ისინი ძალიან დამეხმარნენ ჯავახეთის რეგიონში სიტუაციის დალაგებაში.

***– არადა, ითვლება და ითვლებოდა, რომ ჯავახეთის რეგიონში არეულობა ყველაზე მეტად ერევანს აწყობს.***

– როდესაც რწმუნებულად დავინიშნე, სომხეთის პრეზიდენტი იყო ლევონ ტერ პეტროსიანი. ის ანტიქართულ ქმედებებს არასდროს უჭერდა მხარს. ჯავახეთში არეულობა არც სომხეთის ამჟამინდელ ხელისუფლებას აწყობს.

ჯავახეთი არის სასაზღვრო რეგიონი და, როგორც ყველა სასაზღვრო რეგიონში, აქაც ბევრი ქვეყნის სპეცსამსახურების ინტერესები იკვეთება. სპეცსამსახურები ადრეც აქტიურად მუშაობდნენ და ახლაც მუშაობენ.

ამ რეგიონში ვითარებას ისიც ართულებდა, რომ ახალქალაქში იყო რუსული სამხედრო ბაზა. ისინი ადგილობრივ სეპარატისტებსა და კონტრაბანდისტებს ღიად მფარველობდნენ. როცა ჯავახეთზე ვსაუბრობთ, ისე ნუ წარმოვიდგენთ, რომ იქ მხოლოდ სომხები იქცეოდნენ ანტისახელმწიფოებრივად. ამ რეგიონში 95% პროცენტი ეთნიკური სომეხია, მაგრამ უკანონობაში იქ მცხოვრები სხვა ეროვნებებიც იყვნენ ჩართული.

ამას ხელშეწყობა ქართველი პოლიტიკოსებისგანაც ჰქონდა. ერევანში მითხრეს, რომ ერთ-ერთი პარტიის ლიდერები ჯავახეთს განსაკუთრებული სტატუსის მინიჭებას ჰპირდებოდნენ.

***– მაშინ ხელისუფლებაში მოქალაქეთა კავშირი იყო. ამ პარტიის ლიდერებზეა საუბარი?***

– მაგათზეა საუბარი. ვითომ რეფორმატორების ფრთაზე მაქვს საუბარი. ისინი შემდეგ ნაციონალები გახდნენ და მაღალი თანამდებობები ეკავათ. ეს ხალხი ჯავახეთის რეგიონში წესრიგის დამყარებაში ხელს ძალიან გვიშლიდა.

## „ჯავახეთში ვითარებას ნაციონალები ურევდნენ“




რეგიონში შექმნილ ვითარებაზე მე შევარდნაძესა და უშიშროების საბჭოს დეტალურ ინფორმაციებს ვაწვდიდი. ეს ინფორმაციები საიდუმლო იყო, მაგრამ უშიშროების საბჭოდან ამ ინფორმაციებმა გამოჟონვა დაიწყო. როცა ამის შესახებ შევიტყვე, შევარდნაძეს ვუთხარი, რის შემდეგაც ტაქტიკა შევცვალეთ. შევარდნაძე ამ წერილებს კითხულობდა და ჩემ თვალწინ ხევდა.

***– რა ეწერა იქ იმისთანა, რომ შევარდნაძე მათ ხევდა?***

– ამას ახლა ვერ გეტყვით, მაგრამ დადგება დრო და მოხდება მათი გასაჯაროება. საზოგადოება ბევრ საინტერესო და სკანდალურ დეტალს გაიგებს. ნახავენ, როგორ მუშაობდნენ საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ ერთ-ერთი პარტიის ლიდერები.

***– შემთხვევით ამის ბრალი ხომ არ არის, 2004 წელს საქართველოდან გაქცევა რომ მოგიხდათ?***

– ალბათ. ბევრი მცდელობის მიუხედავად, ვერაფერი ამომიქექეს და რაღაც ერთი ინციდენტის გამო აღძრეს ჩემ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე.

***– ამბობთ, რომ ამ დოკუმენტების გასაჯაროება მოხდება და, დარწმუნებული ხართ, რომ ის დოკუმენტები არ გაანადგურეს?***

– შეიძლება გაანადგურეს კიდევაც, მაგრამ მათი ასლების მოძიება შეიძლება. ამ დოკუმენტებს „ახალ თაობასაც“ მივაწვდი. ყველა ნახავთ, რა ხდებოდა მაშინ ჯავახეთში.

სანამ რწმუნებულად დავინიშნებოდი, ჯავახეთში საქართველოს მთავრობის წევრები ჩავიდნენ. სამთავრობო გუნდში მინისტრი, მინისტრის მოადგილე, მთავარი პროკურორის მოადგილე შედიოდნენ. უკანონო ფორმირებების წარმომადგენლებმა ისინი დააკავეს და რამდენიმე საათი საბძელში ჰყავდათ გამოკეტილი.

ჯავახეთში იმდენად ძლიერი იყო ეს ფორმირება, რომ იქ თავის დროზე ვერც მხედრიონმა და ვერც გვარდიამ ცხვირიც კი ვერ შეყვეს.

***– ამ ფორმირებებს ვინ აფინანსებდა?***

– ეს ფორმირებები სხვადასხვა ქვეყნის არასამთავრობო ორგანიზაციებიდან ფინანსდებოდნენ. მათ ჰქონდათ კარგი შეიარაღება. ისინი დაბანაკებული იყვნენ ახალქალაქსა და ნინოწმინდაში მდებარე ყოფილ პიონერთა ბანაკებში. ისინი რეგულარულად გადიოდნენ სამხედრო წვრთნებს.

ამ ფორმირების წარმომადგენლებს ახალქალაქთან შლაგბაუმი ჰქონდათ აღმართული. ისინი გჩხრეკდნენ და გეკითხებოდნენ, რომელი სახელმწიფოდან იყავი ჩამოსული. ამ ფორმირებებში ისეთი ადამიანებიც იყვნენ, რომლებიც შემდეგ აქტიურად ჩაებნენ პოლიტიკაში და ხშირად ჩანდნენ ეკრანებზე.

იმ დროისთვის ჯავახეთი კორუფციასა და კონტრაბანდას მიჰქონდა. იქ უპრობლემოდ იყიდებოდა იარაღი. იარაღით მოვაჭრეების შესახებ ინფორმაცია ყველას ჰქონდა, მაგრამ მათ დაკავებას ვერავინ ბედავდა, ან შეიძლება არც აწყობდათ.

როცა მეტ-ნაკლებად დავალაგეთ ვითარება, ახალქალაქში იარაღით მოვაჭრეს დილის 7 საათზე დავადექით თავზე. თან მხოლოდ რამდენიმე ადამიანი მახლდა. სად გვყავდა მაშინ ჯიპები, მოფახფახებული გაზ-31-ით ავედით. იარაღით მოვაჭრემ კარი რომ გაგვიღო, მაშინვე ვკითხე, მიცნობდა თუ არა მე. მითხრა, რომ მიცნობდა. ამის შემდეგ ვუთხარი, რომ ამოეტანა „სტრელას“ ტიპის რაკეტები, რომლებსაც სარდაფში ინახავდა. მან საკუთარი ხელით ამოგვიტანა 7 ერთეული რაკეტა.

ერთი გავლენიანი ავტორიტეტი ცხოვრობდა ნინოწმინდაში. მასაც დავადექით თავზე. ის კაცი დიდი გავლენით სარგებლობდა, ვერავინ ეხებოდა. ვისაუბრეთ და რაღაც დროის შემდეგ მითხრა, რომ გავყოლოდი. გავყევი. რაღაც უზარმაზარ საბძელში შევედით, თან გულში ვფიქრობდი, ახლა ამან აქ არ მიმაკლას-მეთქი.

საბძელში თივის ზვინები იდგა. თავის თანმხლებ პირებს უთხრა, რომ თივა გადაეყარათ. მათ გადაყარეს თივა და რას ვხედავ, ახალთახალი ჯავშანმანქანა დგას.

***– საიდან ჰქონდა ჯავშანმანქანა?***

– ეტყობა, ან რუსებმა მისცეს, ან იყიდა. თავად ეს კაცი იარაღით არ ვაჭრობდა. მითხრა, რომ ამ ჯავშანმანქანას მჩუქნიდა. მე მივიღე ეს საჩუქარი და თბილისში გამოვაგზავნე. მის წასაყვანად ხალხი გამომიგზავნეს. ჩვენ ხომ არაფრის მართვა არ ვიცით და, სანამ თბილისში ჩავიდოდნენ, 3-ჯერ მაინც მოხვდნენ ავარიაში.

ძალიან რთული იყო კონტრაბანდისტებთან ბრძოლა. როცა რწმუნებულად დავინიშნე, 250 შემოვლითი გზა ფუნქციონირებდა.

***– საუბარი მხოლოდ ჯავახეთზეა თუ სამცხესაც გულისხმობთ?***

– მხოლოდ ჯავახეთში იყო 250 შემოვლითი გზა. ეს გზები მოასფალტებული არ იყო, მაგრამ კონტრაბანდის გადასატანად გამოდგებოდა.

სამცხე-ჯავახეთში იყო ხე-ტყის, ქვის, ჯართისა და გაზის მაფია. ხე-ტყის გადამამუშავებელი ასზე მეტი საწარმო დავხურეთ. კონტრაბანდისტულ კლანებთან მოქალაქეთა კავშირის ლიდერები ძალიან აქტიურად თანამშრომლობდნენ. ეს კლანები მათ საარჩევნო კამპანიას უფინანსებდნენ.

მოქკავშირის ე.წ. რეფორმატორების გუნდს ჯავახეთი საჯილდაო ქვად ჰქონდა ქცეული. ისინი ყველასთან ვაჭრობდნენ: თუ ჩვენ თანამდებობებზე არ დაგვნიშნავთ, გრანტებსა და კრედიტებს არ გამოგიყოფთ, ჯავახეთში პრობლემებს აგიგორებთო. ამით აშანტაჟებდნენ შევარდნაძესაც. ჩემი ჩასვლის შემდეგ ჯავახეთში მათ შუამავლის ფუნქცია დაკარგეს.

***– შეგიძლიათ ამ შუამავლების ვინაობა დაასახელოთ?***

– ამ ფუნქციას მოქალაქეთა კავშირის თითქმის ყველა ლიდერი ასრულებდა. საუბარია იმ ხალხზე, რომლებმაც შემდეგ ნაციონალურ მოძრაობაში გადაინაცვლეს. ეს ხალხი ჯავახეთის მოსახლეობასთან ხელისუფლების მოსვლის შემდეგაც ვაჭრობდა. დევნილობაში ყოფნის დროს ჩემმა სომეხმა მეგობარმა მითხრა, რომ ნაციონალები ჯავახელებს არჩევნებზე ხმის მიცემის სანაცვლოდ რეგიონისთვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭებას სთავაზობდნენ.

ჯავახეთი უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების საშლიგინო იყო, მაგრამ ისინი არ გვიქმნიდნენ ისეთ პრობლემებს, როგორსაც ე.წ. რეფორმატორები ქმნიდნენ. მათ განეიტრალებაზე ძალიან ბევრი დრო გვეხარჯებოდა.

ჯავახეთში არცერთმა თანამდებობის პირმა არ იცოდა ქართული ენა. მე ისინი დავიბარე და ვუთხარი, რომ თუ 3 თვეში არ ისწავლიდნენ სახელმწიფო ენას, სამსახურებს დატოვებდნენ. ადგილზე ამის გაპროტესტება არავინ გაბედა. საპროტესტო განცხადებები ერევანში გააკეთეს. ამ შემთხვევაშიც ე.წ. რეფორმატორები აქტიურობდნენ.

სააკაშვილის წყალობით არაერთხელ დაიძაბა ჯავახეთში სიტუაცია. ამ მაოხრებელმა გზირმა ევროსაბჭოს ტრიბუნიდან განაცხადა, რომ საქართველო მზად იყო თურქი-მესხების მისაღებად. გადასახლებამდე ისინი სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ.

ჯავახეთში მცხოვრებ სომხებს ძალიან მწარედ ახსოვთ 1915 წელს თურქეთში დატრიალებული ტრაგედია. ისინი გენეტიკურად უფრთხიან თურქებს. ამავე მიზეზით იყვნენ ისინი ნატოში საქართველოს შესვლის წინააღმდეგი. მათთან აგიტაცია არავინ ჩაატარა და ეს ხალხი ფიქრობდა, რომ თუ საქართველო ნატოში შევიდოდა, საქართველოში თურქული ჯარი შემოვიდოდა. ეს იყო მიზეზი მათი მღელვარებისა. ბევრი მათგანი ხსნას რუსულ არმიაში ხედავდა. ისინი ამიტომაც ეწინააღმდეგებოდნენ ახალქალაქიდან რუსული სამხედრო ბაზის გაყვანას. ეს ბაზა ახალქალაქიდან მშვიდობიანად გავიდა.

***– ბაზის გაყვანას არანაირი ინციდენტი არ მოჰყოლია?***

– ბაზის გაყვანაზე შეთანხმებას სტამბოლის სამიტზე მოეწერა ხელი. ამის შემდეგ ახალქალაქის მე-15 სამხედრო ბრიგადამ ჯავახეთი დატოვა. ტექნიკა და ცოცხალი ძალა ჩვენ მიერ შედგენილი გრაფიკით ტოვებდა საქართველოს.

თავდაცვის მინისტრი მაშინ დავით თევზაძე იყო. მან 2 ოფიცერი მომამაგრა. ყოველ დილით მუხლებამდე ტალახში ვიდექით და ახალქალაქის 62-ე დივიზიიდან გიუმრიში ვაცილებდით რუსის ჯარს. ჩვენ გვერდით ეთნიკური სომხებიც იდგნენ.

რუსული სამხედრო ბაზის გასვლის შემდეგ კონტრაბანდასთან ბრძოლა გაგვიიოლდა. ხშირი იყო შემთხვევები, როცა კონტრაბანდისტს გავეკიდებოდით, ისინი მიცვივდებოდნენ ამ ბაზის კართან, რუსები კარს გაუღებდნენ და შენ იქ ცხვირს არავინ შეგაყოფინებდა.

ჩვენ ეს ყველაფერი მოვაგვარეთ, ამოვიღეთ იარაღი, დავშალეთ უკანონო ფორმირებები, გავხსენით ქართული სკოლები. ჩამოყალიბდა კუმურდო-ახალქალაქის ეპარქია.

***– მოდით, ახლა კუმურდოზე გადავიდეთ. ამ სოფელში ტაძართან დაკავშირებით ადრეც იყო პრობლემები და რაშია საქმე?***

– ეს ტაძარი გახლავთ ქართული საკათედრო ტაძარი. მისი მშენებლობა დაიწყო ლეონ მესამის დროს და ბაგრატ მეოთხის დროს დასრულდა. მის ქართულ წარმომავლობაზე არავინ დავობს და აქ უფრო სხვა პრობლემებთან გვაქვს საქმე.

მინდა ყველამ იცოდეს, რომ კუმურდო არის ძალიან მძიმე სოფელი და მათთან ცოტა სხვანაირი მიდგომაა საჭირო. აქ მთის ხალხი ცხოვრობს და, როგორც ყველა მთიელს, რთული ხასიათი აქვთ.

მათთან ჩემი გუბერნატორობის დროსაც იყო პრობლემები, მაგრამ მათთან საერთო ენის გამონახვა შევძელით. კუმურდოს სასმელი წყალი არ ჰქონდა. 22– კილომეტრიანი წყალსადენი ჩვენ გავაკეთეთ. ახლა იქ სასმელი წყალიც აქვთ და პრეზიდენტის სახელობის წყაროც.

აუცილებელია ამ ხალხთან დალაპარაკება და რაღაცების ახსნა. ნამდვილად არ ვიცი, ახლა რატომ მოხდა ეს დაპირისპირება. ამიტომ კომენტარის გაკეთება მიჭირს. ის, რაც ჩვენ დროს ხდებოდა, ალბათ აღარ განმეორდება, მაგრამ ხელისუფლებამ რაღაც ზომები უნდა მიიღოს.

კერძოდ, ხელისუფლებამ უნდა შეიმუშაოს სამცხე-ჯავახეთისთვის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს რამდენიმე მიმართულებით მუშაობას. ეს არის სოციალ-ეკონომიკური მიმართულებები, ოპერატიული და პოლიტიკური საკითხები.

აუცილებელია სადემილიტაციო, სადემარკაციო ხაზის დადგენა და საზღვრის აღდგენა ჩვენს მეზობელ ქვეყნებთან. თურქეთის გარდა, არცერთ სახელმწიფოსთან სახელმწიფო საზღვარი დადგენილი არ გვაქვს. საინტერესოა, რას აკეთებს საგარეო საქმეთა სამინისტრო. დაუდგენელმა საზღვრებმა ყველა სასაზღვრო რეგიონში შეიძლება პრობლემა შექმნას.

ჯავახეთის მოსახლეობას უნდა ავუხსნათ, რომ მათ ნატოში გაწევრიანების შედეგად არანაირი პრობლემა არ ემუქრება. ყურადღება უნდა მიექცეს ადგილზე სამუშაო ადგილების შექმნას. ეს იმისთვის უნდა გაკეთდეს, რომ ახალგაზრდები რუსეთში დროებით სამუშაოზე აღარ წავიდნენ. ახალგაზრდები იქიდან ტვინგადაბრუნებულები ბრუნდებიან. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ეს ადამიანები დასაქმდნენ საქართველოში, ევროპაში და შედარებით ნაკლებად – რუსეთში. რუსეთის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ის რაოდენობა, რაც იქ მიდის, ერთი პატარა რეგიონისთვის მაინც ბევრია.

2017, 4 ოქტომბერი, №235

# ჯემალ გამახარია: „კატალონიისა და აფხაზეთის მოვლენებს შორის საერთო არაფერია“

გულიკო ბალაძე

**აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჯემალ გამახარია „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ ევროპაში მიმდინარე დეზინტეგრაციული პროცესები აფხაზებს ილუზიებს უჩენს, თუმცა, ტყუილად უხარიათ აფხაზ სეპარატისტებს კატალონიის დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა, რადგან აფხაზეთსა და კატალონიას შორის დიდი განსხვავებაა.**

***– ბატონო ჯემალ, კატალონიაში დამოუკიდებლობის საკითხზე ჩატარებული რეფერენდუმი რა მნიშვნელობას იძენს? ევროპაში მიმდინარე ამგვარ პროცესებს შეუძლია რაიმე გავლენა იქონიოს მსოფლიოს დღის წესრიგზე?***

– ის, რაც ხდება ესპანეთსა და დიდ ბრიტანეთში, სწორედ იმის მაჩვენებელია, რომ ევროპაში დეზინტეგრაციული პროცესები მიმდინარეობს. მართალია, კატალონიაში არ არის აგრესიული სეპარატიზმი, როგორც ჩვენთან, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში და მათ შორის ძალიან დიდი განსხვავებაა, მაგრამ თვითონ პროცესი ნამდვილად არ არის მისაღები. ძალიან ძნელია იმის თქმა, როგორი იქნება შედეგები. ევროპაში მიმდინარე ამგვარი პროცესები გარკვეულ გავლენას ახდენენ და მომავალშიც მოახდენენ ჩვენს სეპარატისტულ რეგიონებზე.

***– რა გავლენას მოახდენს?***

– აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტროს კომენტარები დიდად საინტერესო არ არის, მაგრამ ჩემი ყურადღება ერთმა წინადადებამ მიიქცია – დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ კატალონიაში განვითარებული პროცესები და აფხაზეთში გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში მიმდინარე მოვლენები ერთმანეთს ძალიან ჰგავს. ჩვენც მშვიდობიანი მეთოდებით გვინდოდა პროცესების წარმართვა, მაგრამ არ დაგვცალდაო, რაც სრული სიცრუეა.

არავითარი მსგავსება კატალონიაში მიმდინარე პროცესსა და ჩვენს ოკუპირებულ რეგიონებში განვითარებულ მოვლენებს შორის არ არის. შოტლანდიაში რეფერენდუმი ბრიტანეთის კანონმდებლობის სრული დაცვით ჩატარდა. კატალონიაში რეფერენდუმი ესპანეთის კანონმდებლობის სრული დაცვით არ ჩატარებულა. თანაც, კატალონიაში ჩატარებულ რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის 42%-მა და დადებითი ხმა მისცა 90%-მა. კატალონიის მოსახლეობა 7,5 მილიონზე მეტია. ამომრჩეველი დაახლოებით ნახევარზე მეტს შეადგენს. დამოუკიდებლობას ხმა მისცა 2 მილიონზე მეტმა ამომრჩეველმა, 40%-ზე ნაკლებმა ამომრჩეველმა. ასე რომ, კატალონიის დამოუკიდებლობა მოსახლეობის უმრავლესობის ნება არ არის.

***– კატალონიასა და ჩვენთან არსებულ სეპარატიზმს შორის რა განსხვავებაა? მგონი, ისტორიული წანამძღვრებიც სხვაგვარია კატალონიაში და ჩვენთან.***

– გარკვეული წინამძღვრები, რა თქმა უნდა, არსებობს. ეს ტერიტორია, რომელსაც კატალონია ჰქვია, ესპანეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში დაახლოებით მე-18 საუკუნის დასაწყისიდან შევიდა. არაგონის სამეფო დინასტიური ქორწინების შედეგად ხდება ერთიანი ესპანეთის შემადგენელი ნაწილი. მე-19 საუკუნიდან სეპარატისტული მოძრაობები იწყება. ესპანეთისგან გამოყოფის პირველი მცდელობა 1871 წელს იყო. შემდეგი მცდელობა მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ჰქონდათ, მაგრამ იქ გადატრიალება მოხდა, სეპარატისტული მოძრაობა ჩაახშვეს. ესპანეთში ფრანკოს შემდეგაც ვითარდება სეპარატისტული მოძრაობა. 1979 წელს კატალონია ხდება ავტონომია.

2006 წელს მოხდა ამ ავტონომიის კიდევ უფრო გაფართოება. 2009-10 წლებში არაოფიციალური გამოკითხვებიც ჩატარდა დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და შედეგი სახარბიელო იყო მათთვის, ვინც გამოკითხვა ჩაატარა – 90%-ზე ნაკლებს არ აფიქსირებდნენ. ამას მოჰყვა მასობრივი მანიფესტაციები დამოუკიდებლობის მოთხოვნით.

2012 წელს კატალონიის პარლამენტში უმრავლესობით მოვიდნენ დამოუკიდებლობის მოსურნე ძალები, რომლებმაც 2013 წელს სუვერენიტეტის შესახებ დეკლარაცია გამოაქვეყნეს. საუბარი იყო ესპანეთის შემადგენლობაში სუვერენიტეტზე, მაგრამ 2014 წლის ნოემბერში მათ ჩაატარეს გამოკითხვა მოსახლეობაში და მიღებული შედეგები და ახლანდელი რეფერენდუმის შედეგები ერთმანეთს ემთხვევა. ეს არის ისტორიული კონტექსტი, მაგრამ ამას არაფერი აქვს საერთო ჩვენს ოკუპირებულ რეგიონებთან.



***– აფხაზეთსა და ცხინვალში გენოციდი და ეთნოწმენდა მოაწყვეს, ძირძველი ქართული ტერიტორიები ქართველებისგან გაწმინდეს. კატალონიაში კი ესპანელების ეთნოწმენდა არ მომხდარა. გაგრის ტრაგედია, 1993 წლის 26-30 სექტემბერი და 2008 წლის ომის შედეგები ამას გვიჩვენებს.***

– რა თქმა უნდა, კატალონიაში ეთნოწმენდა არ მომხდარა. ჩვენ, აფხაზეთიდან დევნილები, 5 ოქტომბერს აღვნიშნავთ ეთნიკური წმენდისა და გენოციდის მსხვერპლთა ხსოვნის დღეს. ეს დღე აღინიშნება იმ ქალაქებსა და დასახლებებში, სადაც დევნილები კომპაქტურად არიან ჩასახლებულები. ეკლესიებში გადაიხდება პარაკლისები დაღუპულთა სულების მოსახსენიებლად.

***– მაშინ რა უხარია აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრს?***

– არაფერი საერთო მათ შორის არ არის. ომი რუსეთმა გააჩაღა აფხაზეთში, რადგან როგორც რუსეთი, ასევე სეპარატისტები 1991 წელს დარწმუნდნენ, რომ რეფერენდუმებისა და არჩევნების გზით მიზანს ვერ მიაღწევდნენ, დემოკრატიული გზით ვერ მოახერხებდნენ აფხაზეთის საქართველოსაგან ჩამოცილებას.

1991 წლის მარტში აფხაზეთში ჩატარდა ორი რეფერენდუმი. ერთი გახლდათ საბჭოთა კავშირის შენარჩუნების რეფერენდუმი, რომელიც ჩაფლავდა. ჩვენ მას ბოიკოტი გამოვუცხადეთ. მათ რეფერენდუმი ჩატარებულად ჩათვალეს. გალის რაიონი გამორიცხეს და შემდეგ იმდენად გააყალბეს, რომ 50,1% ძლივს დააფიქსირეს. მოსკოვი მიხვდა, რომ ეს რეფერენდუმი ჩაფლავდა. ამაზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა ჩვენი პროკურატურის მიერ. ყველაფერი გამოკვლეულია. 31 მარტს ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმი, რომელმაც აჩვენა, რომ აფხაზეთის მოსახლეობის ორი მესამედი, 60%-ზე მეტი, მხარს უჭერდა საქართველოს დამოუკიდებლობას.

***– მგონი, 66% იყო.***

– შემდეგ 26 მაისს ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები და ასევე 60%-ზე მეტმა ხმა მისცა საქართველოს პრეზიდენტს. სეპარატისტთა ჯგუფმა, რუსულმა და სომხურმა თემებმა, ბოიკოტი გამოუცხადეს რეფერენდუმსა და საპრეზიდენტო არჩევნებს, მაგრამ რეფერენდუმსა და საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში აფხაზეთის მოსახლეობის 60%-ზე მეტმა ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობას. ამან დაარწმუნა ისინი, რომ ერთადერთი გზა მათთვის ომი და ამ ტერიტორიიდან ქართველების განდევნა იყო.

ამიტომ ევროპაში მიმდინარე პროცესებსა და ჩვენთან განვითარებულ მოვლენებს შორის საერთო არაფერია. ტყუილად უხარიათ აფხაზებს, თუ რომელიმე რეგიონი რეფერენდუმის გზით ჩამოშორდება დიდ ბრიტანეთს ან ესპანეთს. ეს კიდევ ერთხელ დაადასტურებს იმას, რომ გენოციდის, ეთნოწმენდისა და იარაღის გზით დამოუკიდებლობის მიღება მიუღებელია. ქართველი საზოგადოება არასოდეს აღიარებს ამ გზით „მოპოვებულ“ ე.წ. დამოუკიდებლობას.

შოტლანდიაში შეიძლება კიდევ ჩატარდეს რეფერენდუმი და თუ ხმების უმრავლესობას გამოყოფის მომხრე ძალები მიიღებენ, ბრიტანეთი თანახმაა გაშვებაზე. თუ ბრიტანეთი აღიარებს, მსოფლიოც აღიარებს, მაგრამ ესპანეთში განსხვავებული სიტუაციაა. იქ საკონსტიტუციო სასამართლომ უკანონოდ ცნო რეფერენდუმის ჩატარება. ესპანეთის ხელისუფლებას უფლება აქვს, სეპარატიზმის მომხრე ძალები ჩამოაშოროს მმართველობას და ცენტრალური მმართველობა დანიშნოს. თუმცა, ევროპაში მიმდინარე ამგვარ პროცესებს მადესტაბილიზებელი გავლენა აქვს და ჩვენს სეპარატისტებსაც ილუზიებს უსახავს.

გამოყოფასაც გააჩნია. ერთია, როდესაც ეს ხდება დემოკრატიული გზით და მეორეა, როცა ე.წ. დამოუკიდებლობის მოპოვება ხდება გენოციდის, ეთნოწმენდის გზით და ამას მეზობელი სახელმწიფო ახდენს.

***– „ახალი თაობაში“ არაერთხელ დაგვიწერია, რომ იმ ადამიანების მიმართ, რომლებმაც მოაწყვეს გენოციდი და ეთნოწმენდა აფხაზეთში, სეპარატისტთა ლიდერებზე უნდა აღძრულიყო სისხლის სამართლის საქმე და გამოცხადებულიყო საერთაშორისო ძებნა ქართველთა მიმართ მოწყობილი გენოციდისა და ეთნოწმენდის გამო, რაც დღემდე არ გაკეთებულა. ამაზე გვპასუხობდნენ, რომ საქართველო მათ ვერ დააპატიმრებდა, მაგრამ ხომ დადიან ევროპაში, იმავე ჟენევის მოლაპარაკებებზე?***

– საქართველოს მთავარ პროკურატურაში საქმეა აღძრული აფხაზეთში ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებული გენოციდისა და ეთნოწმენდის ფაქტზე და გამოძიება მიმდინარეობს. გამოძიება აქამდე უნდა დამთავრებულიყო.

***– როგორც ვიცი, გამოძიება დამთავრებულია.***

– აფხაზეთში ქართველების მიმართ განხორციელებული გენოციდი და ეთნოწმენდა საქართველოს პარლამენტმა აღიარა. საქართველოში ყველა დონეზე დაფიქსირებულია, რომ აფხაზეთში განხორციელდა ქართული მოსახლეობის გენოციდი. თუმცა, ჩვენ არ გვიზრუნია, ეს გენოციდი აღიარებულიყო მსოფლიოს სახელმწიფოების მიერ. 100%-ით დარწმუნებული ვარ, რომ თუ ჩვენი პარლამენტი მიმართავს მეგობარ სახელმწიფოებს, ისინი აღიარებენ აფხაზეთში განხორციელებულ გენოციდსა და ეთნიკურ წმენდას.

აქ მნიშვნელოვანია, ვინ განახორციელა გენოციდი და ეთნოწმენდა. სწორი არ იქნება ვთქვათ, რომ ერთმა მუჭა აფხაზმა ხალხმა ქართველებს გენოციდი და ეთნოწმენდა მოუწყო. რუსეთის მონაწილეობის გარეშე ეს არ მომხდარა, მაგრამ გენოციდი და ეთნოწმენდა აფხაზეთში განხორციელდა აფხაზთა სახელით და მცირე დოზით მათი მონაწილეობით. აქ დამნაშავე სულ სხვაა. სანამ დამნაშავე გამოვლინდება, მანამდე აფხაზეთში მოწყობილი გენოციდისა და ეთნოწმენდის ფაქტი საერთაშორისო თანამეგობრობამ უნდა აღიაროს.

***– გენოციდი და ეთნოწმენდა რუსეთის მონაწილეობით არ მოხდა? ამის დამადასტურებელი ფაქტები გამოძიებას აქვს. ახლა აღიარებაზე ზრუნვაა საჭირო.***

– დიახ, გენოციდის აღიარება ძალიან მნიშვნელოვანია, თუნდაც არაღიარების პოლიტიკის წარმატებისთვის. თუ ვინმე, საქმეში ჩაუხედავი ადამიანი ფიქრობს, რომ გენოციდისა და ეთნოწმენდის აღიარება შერიგების პოლიტიკას ხელს შეუშლის, ის ღრმად ცდება, ის არ იცნობს აფხაზ ხალხს, მათ ფსიქოლოგიას. მე, როგორც ამ ხალხის ფსიქოლოგიის კარგი მცოდნე, ხმამაღლა ვაცხადებ, რომ გენოციდის აღიარება უფრო დააჩქარებს ჩვენს დაახლოებასა და შერიგებას.

# „თბილისის მომავალმა მერმა ინვესტორებთან მიდგომა უნდა გაამარტივოს“

ბიზნესმენები თბილისის მომავალ მერს რჩევებს აძლევენ. „კომერსანტი“ თემას აგრძელებს და ამჯერად საინვესტიციო კომპანია CAPITAL PART#ERS OF GEORGIA-ს დამფუძნებელ გიორგი სვანიძის რჩევას შემოგთავაზებთ. ბიზნესმენი ჩვენთან საუბრისას რამდენიმე მიმართულებას ასახელებს, რაზეც დედაქალაქის მომავალმა მერმა ყურადღება უნდა გაამახვილოს.

სვანიძე თბილისის მომავალ მერს სამშენებლო ნებართვების



გაცემის პროცესის გამარტივებას ურჩევს. ბიზნესმენის თქმით, აუცილებელია, რომ მერიამ ინვესტორებს ხელი შეუწყოს. მისი განცხადებით, კომპანია CAPITAL PART#ERS OF GEORGIA-მ mirza-შაფის სამშენებლო ნებართვისთვის 8 წელი დაკარგა. „ამ პერიოდის განმავლობაში, ეს შენობა უნდა აშენებულიყო და გაკეთებულიყო. ჩვენმა პარტნიორებმა ქალაქის ცენტრში ააშენეს შენობები, თუმცა, მათ მშენებლობა ჩვენზე გვიან დაიწყეს. 8 წლის განმავლობაში ინვესტორის ასე გაჩერება არ შეიძლება“, – აცხადებს სვანიძე.

მისი განცხადებით, „თბილისის მომავალმა მერმა ყველა ინვესტორთან მიდგომა უნდა გაამარტივოს. კარგი იქნება, თუ მერია ასე იმოქმედებს, ეს საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან ძირითადი თანხები მაინც ინვესტიციებიდან და ტურიზმიდან შემოდის“.

ბიზნესმენი თბილისის მომავალ მერს ქალაქის თანამედროვე შენობა-ნაგებობებით განვითარებასაც ურჩევს. სვანიძის განცხადებით, კარგი იქნება, თუ თბილისი მსოფლიოს ტენდენციებს არ ჩამორჩება და თანამედროვე ინფრასტრუქტურა განვითარდება.

– გავიხედოთ მთელ მსოფლიოში, რა შენობა-ნაგებობები შენდება, რა დონის მშენებლობები მიმდინარეობს. ამას ჩვენც არ უნდა ჩამოვრჩეთ. ამიტომ, აუცილებელია, რაც შეიძლება მეტი ინვესტორი მოვიზიდოთ და უფრო თანამედროვე შენობები აშენდეს. თბილისი ყოველთვის ისე იყო წარმოდგენილი, რომ ის იყო არა მხოლოდ საქართველოს დედაქალაქი, არამედ, როგორც კავკასიის დედაქალაქი. ხედავთ, რომ დღეს აზერბაიჯანელისთვის და სხვა მეზობელი ქვეყნებისთვის თბილისი არის ერთ-ერთი ევროპული, ცენტრალური ქალაქი. აქ ჩამოდიან დასასვენებლად, გასართობად. ტურიზმი ვითარდება და ქალაქი ვითარდება. ეს კი საკმაოდ მნიშვნელოვანია, – აცხადებს სვანიძე.

გიორგი სვანიძის სურვილია, მაქსიმალურად მოკლე დროში დასრულდეს თბილისის გენერალური განაშენიანების გეგმაზე მუშაობა, რაც ავტომატურად მოაგვარებს სატრანსპორტო პრობლემასაც.

**კომერსანტი**

# ლევან ხაბეიშვილი: „თავში მირტყამდნენ და ასე შემაგდეს მერიაში“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ლაც რეაქცია ჰქონოდათ? მერიის გავრცელებული ვიდეო არის არასრული და ეს ჩანაწერი იქიდან იწყება, სკამზე რომ ვზივარ. თავზე იმიტომ მეხვევიან, რომ შეეშინდათ. ისე, ვიდეოში კარგად ჩანს, როცა შევყავარ შენობაში, ყველა როგორ მოტრიალდა და მირტყამენ. ზოგი თავში, ზოგი ფერდებში.

თუ ვინმეს ჰგონია, რომ ამით შემაშინებენ, შემცდარან, მერე რა, რომ მომხვდა, აქციაზე ვის არ მოხვედრია. აქ მთავარი პრობლემა ისაა, რომ თბილისელების ქონებას ჩუქნიან არქიფოს. მე, აქტიურ პოლიტიკოსს, რომ ასე მირტყამენ, ხომ წარმოგიდგენიათ, სხვას რას გაუბედავენ.

ესენი თავიანთი განცხადებებით ძალადობას ახალისებენ. ეს კარგად არ დამთავრდება. ჩვენც მაგიტომ ვართ ახლა ოპოზიციაში.

***– ადასტურებთ, რომ ნაციონალები ძალადობდნენ?***

– სირაქლემის პოზაში არ ვაპირებ დგომას და ვაღიარებ, რომ შეცდომები გვქონდა. მერიაში რომ კარაქიანი პურის საჭმელად არ შემიყვანეს, ეს იქიდანაც ჩანს, რომ პროკურატურაში გამოკითხვაზე დამიბარეს. შეშინებულები არიან.

ამ ამბის შესახებ ჩვენ დიპლომატიურ კორპუსს ინფორმაცია მივაწოდეთ. ამას აუცილებლად მოჰყვება რეაგირება და მერე სქრინოს პრემიერმა ჩემი სტატუსები.

ჩვენ ბრძოლის შეწყვეტას არ ვაპირებთ და უკანონობის გაპროტესტებას გავაგრძელებთ. ამათი არავის ეშინია, თავად არიან შეშინებულები და მკურნალობას საჭიროებენ.

## ნაცმოძრაობამ დიპლომატიურ კორპუსს მიმართა

# როგორ გავზარდოთ ელექტროენერგიის გამომუშავება

ელექტროენერგიის დეფიციტის შემცირება საქართველოსთვის დღეს ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ საქართველო ელექტროენერგიას ძირითადად რუსეთისგან ყიდულობს, ენერგოუსაფრთხოებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ზამთრის პერიოდში საკმარისი ენერგოგენერაციის წყაროები არ გააჩნია, იმპორტის საჭიროება სწორედ ზამთრის პერიოდში დგას. აქედან გამომდინარე, ჰიდროინჟინერი, ლეონტინა გალდავა ქვეყანას აქცენტის გაკეთებას ისეთი ტიპის ელექტროსადგურების განვითარებაზე ურჩევს, რომელიც ზამთრის პერიოდში იმპორტის ჩანაცვლებაში დაგვეხმარება.

— ბოლო წლების მიხედვით, საქართველოში იმპორტირებული ელექტროენერგიის რაოდენობა აჭარბებს ექსპორტირებულს. ჩვენ ძირითადად იმპორტის საჭიროება გვაქვს ზამთრის პერიოდში. ეს განპირობებულია ძირითად იმით, რომ არ გვაქვს საკმარისი რაოდენობით თბოელექტროსადგურები და მარეგულირებელი ტიპის ჰიდროელექტროსადგურები, რომლებიც ძირითადად ფარავენ ზამთრის ელექტროენერგიის მოხმარებას. ჩვენ უნდა გავაკეთოთ აქცენტი ისეთი ტიპის ელექტროსადგურების განვითარებაზე, რომელიც ჩვენ დაგვეხმარება ზამთარში იმპორტის ჩანაცვლებაზე, — განმარტავს გალდავა.



კითხვაზე, 4%-იანი ეკონომიკური ზრდის პირობებში, როგორ აისახება ეს ელექტროენერგიის მოხმარების ზრდაზე, საპასუხოდ გალდავა აცხადებს, რომ ეკონომიკური ზრდის ფონზე გაიზრდება ელექტროენერგიის მოხმარებაც.

— 2010 წლიდან 2016 წლამდე მშპ-ს საშუალო ზრდამ შეადგინა 4,8%. იმავე პერიოდში ელექტროენერგიის მოხმარების ზრდამ შეადგინა 6%. 2016 წელს ელექტროენერგიის მოხმარებამ შეადგინა 12,7 ტერავატი. 2017 წელს რომ გადავხედოთ და შევადაროთ 2016 წლის მონაცემებს, ისევ დავინახავთ ელექტროენერგიის მოხმარების 6%-იან ზრდას. შეგვიძლია გავაკეთოით დაშვება, რომ წელსაც იქნება ზრდა. თუ გვექნება საშუალოდ 4% ეკონომიკური ზრდა, მინიმუმ ელექტროენერგიის მოხმარების 4% ზრდა გვექნება. დავდგებით იმ რეალობის წინაშე, რომ 14-15 წლის განმავლობაში დაგვჭირდება 4%-იანი ზრდის შემთხვევაში 9 ტერავატი. ეს არს 2016 წლის მონაცემების 70%. თუ იქნება 5%-იანი ზრდა, მაშინ ელექტროენერგიის მოხმარება გაიზრდება 12 ტერავატით. თუ იქნება 6% ზრდა, მაშინ გაიზრდება 15 ტერავატით. ანუ იმაზე მეტით, რაც დღეს გვაქვს, — განმარტავს ჰიდროინჟინერი.

მისი თქმით, საქართველოს 80% გამოუყენებელი ჰიდრორესურსი გააჩნია. ენერგოუსაფრთხოებისთვის კი ქვეყანას მარეგულირებელი ტიპის ჰესები და თბოელექტროსადგურები სჭირდება.

მაგალითისთვის გალდავას ნენსკრა ჰესის პროექტი მოჰყავს და აცხადებს, რომ ნენსკრა ჰესი არის ზუსტად იმ ტიპის სადგური, რომელიც ორიენტირებულია ზამთრის პერიოდში ელექტროენერგიის გამომუშავებაზე.

— ნენსკრა ჰესს გააჩნია წყალსაცავი, რაც არის ბუნებრივი ბატარეა. წყალსაცავი გვაძლევს საშუალებას, დავაგროვოთ წყალი ზაფხულში და ჩავანაცვლოთ იმპორტი, — აცხადებს ჰიდროინჟინერი.

# სექტემბერში დასაქმების სააგენტოებში ვაკანსიები 15%-ით გაიზარდა



დასაქმების სააგენტოებში ვაკანსიების რაოდენობა გაიზარდა. აღნიშნულ პროგნოზს კომპანიების წარმომადგენლები „კომერსანტთან“ ჯერ კიდევ აგვისტოს ბოლო აკეთებდნენ. აღმოჩნდა, რომ აგვისტოსთან შედარებით, სექტემბერში განცხადებების რაოდენობამ 15%-ით იმატა. ხოლო წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, კომპანიებში ვაკანსიები 25-70%-ით გაიზარდა. ძირითადი მოთხოვნა მომსახურების და საბანკო სფეროზეა, ასევე ბოლო დროს გააქტიურდა სამედიცინო მიმართულება. როგორც კომპანია hr.ge-ს წარმომადგენელი მანანა დალაქიშვილი ჩვენთან საუბრისას აცხადებს, მათთან აგვისტოსთან შედარებით, სექტემბერში განცხადებების რაოდენობამ საშუალოდ 15%-ით იმატა. ხოლო წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მატება 25%-ია.

— ძირითადად მოთხოვნა ჰორეკა სექტორიდან გაყიდვების მიმართულებაზეა, ასევე აქტიურობს საბანკო სექტორი და ბოლო დროს გააქტიურდა სამედიცინო სფეროც, — აღნიშნა დალაქიშვილმა.

მანანა დალაქიშვილის თქმითვე, ამ ეტაპზე hr.ge-ში 2.685-მდე აქტიური ვაკანსიაა.

ვაკანსიების მნიშვნელოვან ზრდაზე საუბრობენ დასაქმების კიდევ ერთ სააგენტო Dasaqmeba.ge-ში. როგორც კომპანიის დირექტორი პაატა მამულაშვილი „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებს, შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, განცხადებების რაოდენობა დაახლოებით 70%-ით გაეზარდათ.

— აგვისტოსთან შედარებით სექტემბერში ვაკანსიებზე დაახლოებით 15%-იანი ზრდაა. შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, განცხადებები 70%-ით გაგვეზარდა, რადგან ჩვენი კომპანია მზარდია, — განმარტა მამულაშვილმა.

პაატა მამულაშვილის განცხადებითვე, „ამ ეტაპზე ვაკანსიები მომსახურების სფეროზეა, ასევე ძალიან აქტიურია ტაქსოკომპანიებში მძღოლების დასაქმების საკითხი. Dasaqmeba.ge-ში ამ დროისთვის 1300-ზე მეტი აქტიური ვაკანსიაა.“

# რა სახის პრეპარატები გამოიყენება აზიურ ფაროსანასთან საბრძოლველად?

აზიური ფაროსანა დასავლეთ საქართველოს რეგიონებში, განსაკუთრებით სამეგრელოში მოსავალს ისევ ანადგურებს, თუმცა კლიმატის ცვლილების გამო მწერებმა საცხოვრებლებსა და მათ მიმდებარე ბაღებში გადაინაცვლეს.

აღსანიშნავია, რომ დასავლეთში მცხოვრები მოსახლეობის ნაწილმა მწერი სახლებში უკვე შენიშნა. ამასთან, თბილისის მცხოვრებლების ნაწილიც აცხადებს, რომ ფაროსანას მსგავსი მწერები დედაქალაქში, საკუთარ სახლებშიც შენიშნეს. სპეციალისტთა განმარტებით, ტემპერატურის მატების შემდეგ მავნებლები ისევ ხეხილისა და ბოსტნეულის ბაღებს დაუბრუნდებიან.

იმის შესახებ, თუ რომელი პრეპარატების გამოყენება შეუძლიათ მავნებელთან საბრძოლველად, სურსათის ეროვნული სააგენტო მოქალაქეებს რეკომენდაციებს აძლევს.

სააგენტოს ცნობით, მავნებლის წინააღმდეგ საქართველოში რეგისტრირებული You must have Flash Player installed in order to see this player.

სინთეზური პირეტროიდებისა და ნეონიკოტინოიდების ჯგუფის ინსექტიციდები გამოიყენება.

საერთაშორისო სამეცნიერო კვლევების მიხედვით და ამერიკელი მეცნიერების გამოცდილებით, აზიური ფაროსანას



წინააღმდეგ ყველაზე ეფექტიანია პირეტროიდული ჯგუფის ბიფენტრინის შემცველი პრეპარატები, რომელთაგანაც საქართველოს ბაზარზე ხელმისაწვდომია: ტალსტარი, ზონდერი, ინსეკარი და კურა-კურა. პრეპარატების ხარჯვის ნორმაა ჰექტარზე 0.6-1 ლიტრი.

ბიპიენი

# „ნაციონალების მთავარი მფარველი ბიძინა ივანიშვილია“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველი ლაშა ჩხარტიშვილი პასუხობს.**

***— ლაშა, ოპოზიციის ერთი ნაწილი მწვავე აქციებს მართავს და ბიძინა ივანიშვილისთვის მიწის ნაკვეთების გადაცემის ფაქტს აპროტესტებს. ხელისუფლებისგან გვესმის განცხადებები, რომ ნაცმოძრაობა ივანიშვილს უსამართლოდ ლანძღავს. რას იტყვით თქვენ?***

— ჩვენ ამგვარი თავის მართლება გვსმენია სააკაშვილისგანაც, ზუსტად ისეთივე, როგორიც გვესმის ივანიშვილისა და მისი ხელის ბიჭებისგან. ამაში ახალი არაფერია. ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალიო, ამ რეჟიმში არიან ნაცმოძრაობისა და ქოცმოძრაობის წარმომადგენლები. რა თქმა უნდა, მიუღებელია რეკრეაციული ზონის გადაცემა კერძო პირისთვის და ყველაზე სამარცხვინო ის არის, რომ ამას აძლევენ საჩუქრად! აქედან გამომდინარე, ბიძინა ივანიშვილი ჩამოყალიბდა ყველაზე მდიდარ მათხოვრად მსოფლიოში. ხელისუფლება კი პოლიტიკური მათხოვრებით არის დაკომპლექტებული.

***— ჩვენ გვესმის შეფასებები, რომ ძალიან კარგი პროექტები ხორციელდება, აშენდება დიდი ავტოსადგომი და ეს ყველაფერი საზოგადოებისთვის კეთდება.***

— ეს მიდგომები არახალი ამბავია. დღეს ჩვენ ავტორიტარიზმის პირობებში ვცხოვრობთ. დღეს არაფორმალური მმართველობაა ჩვენს ქვეყანაში. რაც შეეხება ამ აქციებსა და მოთხოვნებს, ისინი მისაღებია, ოღონდ გააჩნია, ვინ გამოდის ამ მოთხოვნებით.

***— ანუ ნაციონალებისგან არ არის მისაღები?***

— აქციის ორგანიზატორების მხრიდან ცოტა უხერხულია ამ საკითხებზე საუბარი, თუმცა აზრის გამოხატვის უფლება ყველას აქვს და ამის აკრძალვა არავისთვის შეიძლება. აქციის ჩატარების უფლება ყველას აქვს და პოლიციის მხრიდან ასეთი ძალადობა და თავხედობა, რაც ჩვენ ვიხილეთ, ყოვლად მიუღებელია, გინდ ნაცმოძრაობა იყოს და გინდ სხვა ძალა.

***— დამნაშავე ძალას არ უნდა ჰქონდეს ამდენის უფლებაო, გვესმის შეფასებები.***

— ნაცმოძრაობა დღეს რომ დასჯილი არ არის, ეს არის ბიძინა ივანიშვილის დამსახურება და სწორედ ბიძინა ივანიშვილის ინტერესშია, რომ მისთვის ყველაზე მწვავე საკითხებზე რეაგირებას აკეთებდეს ნაცმოძრაობა და არა სხვა ვინმე.

***— შეიძლება ეს ყველაფერი დადგმული და შეკვეთილიც კი იყოს?***

— ერთი რამ ფაქტია, რომ დღეს ბიძინა ივანიშვილისთვის ყველაზე მისაღებ ოპოზიციურ ჯგუფს წარმოადგენს ნაცმოძრაობა და მისი დანაყოფები და განაყოფები სწორედ მათი წარსულის გამო, იმიტომ რომ ისინი მარტივად დაექვემდებარებიან ზეწოლას ივანიშვილის მხრიდან. სხვა თუ არაფერი, მათ დიდ ნაწილზე საქმეებია აღძრული და დღეს რეალურად ნაცმოძრაობის მთავარი მფარველი არის ბიძინა ივანიშვილი. ეს არის მისთვის ყველაზე ხელსაყრელი ოპოზიცია, რომელსაც „სატოპკეს“ უწევს ხოლმე.

***— ანუ „ოცნებისთვის“ პირიქით ხელსაყრელი და მისაღებია, როდესაც ნაციონალური მოძრაობა ლანძღავს?***

— როცა მე გწყევლი, ჩემი ძუძუები გლოცავენო, ზუსტად იგივე სიტუაციაა. როცა ნაცმოძრაობა ივანიშვილს წყევლის, მათი ძუძუები ლოცავენ. იქიდან გამომდინარე, რომ ნაცმოძრაობისთვის, მისი უმძიმესი წარსულის გამო, მისი მხრიდან ნათქვამი თუნდაც აბსოლუტური ჭეშმარიტება მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის იმდენად დასაჯერებელი არ არის, რამდენადაც ეს შესაძლოა სინამდვილეში იყოს. აქედან გამომდინარე, ხელისუფლება და კერძოდ ივანიშვილი ამ ორივე პარტიის მეშვეობით იხანგრძლივებს ძალაუფლებას. ძალიან საეჭვოდ მოხდა ეს ყველაფერი...

***— რა მოხდა საეჭვოდ?***

— ეს მძიმე ფაქტი, ამხელა მიწის ნაკვეთის ხელში ჩაგდება მოხდა წინასაარჩევნოდ, აქ ორი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ. ერთი, რომ მართლა ეშინია ბიძინა ივანიშვილს, რომ შესაძლოა თბილისის საკრებულოში უმრავლესობა დაკარგოს, ხოლო მეორე ვერსია შეიძლება იყოს, რომ სწორედ ნაცმოძრაობის წინა პლანზე წამოსაწევად და მათი პოზიციების გასაძლიერებლად სხვა ოპოზიციურ პარტიებთან მიმართებით დასჭირდა ამგვარი კოჭის გაგორება.




***— თქვენ ფიქრობთ, რომ ივანიშვილი ნაცმოძრაობის წინა პლანზე წამოწევას მიზანმიმართულად უწყობს ხელს?***

— რა თქმა უნდა! ივანიშვილი ყველა მეთოდით ცდილობს, რომ ოპოზიცია გაიგივებული იყოს ნაცმოძრაობასთან. ეს ელემენტარული ჭეშმარიტებაა! მისთვის ყველაზე ხელსაყრელი ოპოზიცია არის ნაციონალური მოძრაობა, რომელიც არის სათაგურში გამომწყვდეული ოპოზიცია. მათ შორის სამართლებრივი დანაშაულების გამო, რომლებიც დღემდე გააჩნიათ და დღემდე დაუსჯელები არიან. აქედან გამომდინარე, ივანიშვილი ცდილობს, რომ სწორედ ნაცმოძრაობა და მისი დანაყოფები იყოს წამყვანი ძალა და ყველას, ვინც აპროტესტებს მის თავგასულობას, ნაცმოძრაობის მხარდამჭერობა დააბრალოს ასე ურცხვად, როცა საკუთარ პარტიაში ჰყავს მას ნაცმოძრაობის უმძიმესი წარმომადგენლები.

***— კერძოდ ვის გულისხმობთ?***

— რომელი ერთი დავასახელო?! მურუსიძით დაწყებული და ზარდიაშვილითა და ოქრიაშვილით დასრულებული. ყველას კარგად გვახსოვს, ვინ არიან ეს ადამიანები. სააკაშვილის კარის მსახურები, მკვლელებიც კი არიან მის პარტიაში. აი, ეს არის დღეს „ქართული ოცნების“ ძირითადი საყრდენი და საფუძველი! ოცნების სიები გაძეძგილია ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებით! ეს ხდება იმიტომ, რომ ივანიშვილს სჭირდება გასვრილი ხალხი. სწორედ ისეთი ხალხით აკომპლექტებს საკუთარ პარტიასაც, ვისზეც კომპრომატები აქვს, რადგან მათი მართვა ასე გაცილებით იოლია. ოპოზიციაშიც სწორედ გასვრილი ხალხი სჭირდება წამყვან პოზიციებზე და ამ მხრივ ნაცმოძრაობა მისთვის იდეალური ვარიანტია.

***— ანუ მართული ოპოზიცია უნდა და ჰყავს კიდეც?***

— უფრო ზუსტად, კონტროლირებადი. ნაცმოძრაობასა და „ოცნებას“ ერთმანეთის გარეშე არსებობა არ შეუძლიათ. ისინი ერთმანეთს ავსებენ და აძლიერებენ.

***— ამ არჩევნებში კვლავაც ეს ორი ძალა დაწინაურდება?***

— ყველანაირად ცდილობენ, რომ ასე იყოს. იმედია, ჩვენს მოსახლეობას მასობრივად პოლიტიკური სკლეროზი არ დაემართება და ამას არ დაუშვებს. საზოგადოების მხრიდან აუცილებელია არჩევნებზე მაღალი აქტივობა, რათა ეს ორპარტიული სპექტაკლი დასრულდეს. არჩევნებზე ხალხის მიუსვლელობა აწყობთ ხელისუფლებასა და ნაცმოძრაობას! მოსახლეობამ კარგად გაიხსენოს, ვინ რას აკეთებდა 5 წელი და ვინ რას აკეთებდა წინა 9 წელი, ვინ რით დაგაზარალათ. მოსახლეობამ დიმიტრი გელოვანისა და დავით ალმაშენებლის ძებნას თავი დაანებოს და აარჩიოს შედარებით უკეთესი ჯგუფები, რომლებსაც დანაშაული მაინც არ ჩაუდენიათ თქვენ თვალწინ!

# კავკასიაში ხის კენწეროების პირველი ბილიკი შესაძლოა ლაგოდეხში მოეწყოს

უფრო უკეთესად რომ შეიცნოთ ბუნება, ასცდეთ ხის კენწეროებს, ფრინველის პერსპექტივიდან გადმოხედოთ ტყეს და დატკბეთ ხედებით – ამის საშუალებას გაძლევთ ხის კენწეროების ბილიკი, რომელიც კავკასიის მასშტაბით პირველად, შესაძლოა, ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე მოეწყოს.

– ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) კავკასიის წარმომადგენლობამ ლაგოდეხის ნაკრძალში ხის კენწეროების ბილიკის პროექტირებაზე ტენდერი უკვე გამოაცხადა. სატენდერო განაცხადების მიღების ბოლო ვადა 13 ნოემბერია. პროექტს გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სამინისტრო აფინანსებს.

ტენდერში მონაწილე კომპანიამ უნდა შეისწავლოს ხის კენწეროების ბილიკის პროექტის ტექნიკური განხორციელების შესაძლებლობები, შეიმუშაოს პროექტის დეტალური გეგმა, დიზაინი და სავარაუდო ღირებულება. კვლევა ასევე მოიცავს მომსახურების გაიდლაინების შედგენას, ვიზიტორთა სავარაუდო რაოდენობის, შემოსავლების, საჭირო საოპერაციო, სარემონტო ხარჯების და პროექტის განხორციელებით ეკონომიკაში შეტანილი სავარაუდო წვლილის დაანგარიშებას.

ხის კენწეროების ბილიკები როგორც წესი ხიდებია ხეებს შორის ან პლატფორმა მათ გარშემო. თავდაპირველად ბილიკები ტყის ზედა ნაწილის სამეცნიერო კვლევის მიზნით კეთდებოდა, დღეს კი ეკოტურიზმის შემადგენელი ნაწილიც არის, რომელიც მსოფლიოში სულ უფრო პოპულარული ხდება.

ბილიკების საშუალებით დამთვალიერებლები ეცნობიან ტყის კომპლექსურ ეკოსისტე-



მას – ტყის ბინადარ ცხოველებს, ფრინველებს, მწერებს, სოკოებსა და მრავალფეროვან ფლორას.

ყველაზე ცნობილი ხის კენწეროების ბილიკები გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, განაში, მალაიზიასა და ავსტრალიაშია.

ხის კენწეროების არცერთი ბილიკი არ არის კავკასიაში, არც თურქეთში.

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის დირექტორი გიორგი სულამანიძე ამბობს, რომ მსგავსი ბილიკი ხელს შეუწყობს ტურისტული ნაკადის, შემოსავლების გაზრდას, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში დამატებითი სამუშაო ადგილების გაჩენას.

– ჯამში ბილიკის სიგრძე შეიძლება იყოს დაახლოებით 500 მეტრი. ხის კენწეროების ბილიკი დამთვალიერებლებს შესთავაზებს გასართობ და საგანმანათლებლო გამოცდილებას ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ხეების და წყლის ეკოსისტემის შესახებ. ბილიკი უნდა განთავსდეს ქვედა ხეობაში, ადმინისტრაციის შენობიდან დაახლოებით ნახევარ კილომეტრში, რომელიც ადვილად მისადგომი ადგილია.

ბილიკის დასაწყისი იქნება მეტროში შესასვლელის მსგავსად, ბარიერი, სადაც ვიზიტორი მონეტის ჩაგდების შემდგომ შევა. ეს იქნება დამატებითი შემოსავლის მომტანი. მე ვფიქრობ, რომ ბილიკი მოიცავს კოშკურებს, საჰაერო ბილიკს, ხიდებს და საგანმანათლებლო და საინტერპრეტაციო წერტილებს. 1 წლის განმავლობაში ბილიკმა შესაძლოა უმასპინძლოს 60.000 – 100.000 ადამიანს, – აღნიშნავს გიორგი სულამანიძე და ვარაუდობს, რომ ხის კენწეროების ბილიკის მოწყობა დაახლოებით 2 მილიონი ლარი დაჯდება: „თანხის ნაწილი შესაძლოა ადგილობრივმა ბიუჯეტმა გამოყოს, ნაწილი მუნიციპალური განვითარების ფონდმა“.

ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე ხის კენწეროების ბილიკის მოწყობის შესახებ გარემოს დაცვის მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა 2017 წლის მარტში განაცხადა. მისი თქმით, პროექტის განხორციელების შედეგად ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა რაოდენობა გაორმაგდება.

2017 წლის იანვრიდან დღემდე ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებს 40.600-ზე მეტი ვიზიტორი ეწვია.

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები თბილისიდან 160 კილომეტრშია, სიღნაღიდან და ყვარლიდან 35 კილომეტრში, თელავიდან 80-ში, აზერბაიჯანის საზღვრიდან კი 5 კილომეტრში. ლაგოდეხის ნაკრძალი პირველი დაცული ტერიტორიაა კავკასიაში. ის 1912 წელს დაარსდა. გამორჩეულია მსოფლიოში ერთ-ერთი უკეთესად შემონახული, პირველყოფილი, ველური ბუნებრივი ლანდშაფტებით.

**მთის ამბები**

# რა აფერხებს ქართული დელიკატესის – დამბალხაჭოს მასობრივ წარმოებას



ფშაური ყოფისა და კულტურის განსაკუთრებული ელემენტი – დამბალხაჭო, დღითიდღე პოპულარული ხდება და ქართულ დელიკატესზე მოთხოვნაც იზრდება.

დამბალხაჭოს ფასი დღეს, საშუალოდ, 30 ლარს აღწევს. მიუხედავად იმისა, რომ პროდუქტი მოთხოვნადია, სარეალიზაციოდ მას ძირითადად არაგვისა და ივრის ხეობის სოფლებში დაახლოებით 20-25 ოჯახი ამზადებს. რაც, როგორც მწარმოებლები ამბობენ, ბაზრის მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს.

დამბალხაჭოს მასობრივ წარმოებას არაერთი ფაქტორი აფერხებს, მათ შორის ის, რომ არ არსებობს გაწერილი სტანდარტი, რომლის მიხედვითაც დადგინდება პროდუქტის ხარისხი. ასევე, ტრადიციულად, ოჯახებში სწავლების გარდა, დამბალხაჭოს დამზადების ტექნოლოგია არსად ისწავლება. პრობლემურია სამაცივრე მეურნეობის არქონის საკითხიც.

არასამთავრობო კავშირ „ჩვენი ფშავის“ გამგეობის თანათავმჯდომარე მარიამ ხუცურაულის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ დამბალხაჭოს პოპულარიზაციისთვის 6 წლის განმავლობაში არაერთი ღონისძიება გამართეს, არავინ დაინტერესებულა, რა სჭირდებათ იმისათვის, რომ მეტი პროდუქტი აწარმოონ.

– რაც შეგვიძლია, იმას ვაკეთებთ. ოთახ-მაცივრის მოწყობა გვინდა, მაგრამ ეს ძალიან ძვირია, დაახლოებით 50 ათას აშშ დოლარამდე ჯდება მისი აშენება და აღჭურვა. ოთახ-მაცივარი რომ გვქონდეს, ზაფხულში, როცა რძე მოჭარბებული რაოდენობითაა, დიდი რაოდენობით დამბალხაჭოს დავამზადებდით და მთელი წელი მოვამარაგებდით მაღაზიებს.

მისივე თქმით, დამბალხაჭოთი როგორც საქართველოს, ასევე, არაერთი ქვეყნის ბაზარზე ინტერესდებიან, თუმცა სხვადასხვა მიზეზებისა და იმის გამო, რომ საკმარისი რაოდენობის პროდუქტი ვერ მზადდება, მიწოდება მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს.

შეგახსენებთ, რომ 2014 წელს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ დამბალხაჭოს (დამბალი ხაჭო) დამზადების ტექნოლოგია და კულტურა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად აღიარა.

**მთის ამბები**

# გახდება თუ არა თბილისი ცათამბჯენების ქალაქი?

თბილისში ყველაზე მაღალი შენობა 1967 წელს აშენდა. ეს გახლდათ სასტუმრო „ივერია“, რომელიც 22-სართულიანია.

„ივერია“ ქალაქის იერსახეს ძალიან კარგად მოერგო, თუმცა შეკითხვა – მოუხდება თუ არა საქართველოს დედაქალაქს 20-30-სართულიანი შენობები, დღემდე აქტუალურია. უმეტესობა მიიჩნევს, რომ თბილისში ცათამბჯენების მშენებლობა არ ღირს.



შესაძლებელია თუ არა თბილისში ცათამბჯენების აშენება? – ამ თემაზე „ბიზნესპრესნიუსი“ კომპანია „აი სი ჯგუფის“ დამფუძნებელს, სამშენებლო სფეროს ექსპერტ შოთა გუჯაბიძეს ესაუბრა.

– კარგია თუ არა ცათამბჯენები, ეს ჩვენი გადასაწყვეტი არ არის, რადგან 21-ე საუკუნის ურბანისტიკამ წარმოაჩინა, რომ ეს სწორი გზაა ქალაქის განვითარებისთვის. არ შეიძლება თბილისი უსასრულოდ გაფართოვდეს, რადგან ამ შემთხვევაში აქ ძალიან მძიმე ურბანული პირობები შეიქმნება. თანამედროვე ქალაქი სიმაღლეში უნდა გაიზარდოს და არა – სიგანეში. ვერავინ იტყვის, რომ მრავალსართულიანი ცათამბჯენი ცუდია, მაგრამ გააჩნია ადგილს, სადაც მას აშენებენ. თბილისის ის უბნები, სადაც ისტორიული მნიშვნელობის შენობებია, უნდა შენარჩუნდეს და იქ ტურისტული ზონები გაკეთდეს, მაგრამ ახალ უბნებში მრავალსართულიანი შენობები უნდა აშენდეს. თბილისში არის ასეთი უბნები, კერძოდ, დიღომი, ორთაჭალა, ბაგები და ა.შ... ცათამბჯენის აშენება ყველგან შეიძლება, მთავარია, ის თანამედროვე სტანდარტებს პასუხობდეს.

***– ბატონო შოთა, რით არის ცათამბჯენი ჩვეულებრივ, 5-6-სართულიან სახლზე უკეთესი?***

– როდესაც ქალაქში 18-20-სართულიანი შენობა შენდება, პირველ რიგში ეს ქალაქის განტვირთვას უწყობს ხელს. აგიხსნით რატომაც: თანამედროვე, მაღალი დონის ცათამბჯენს მიწის ქვეშ შეიძლება 3-4 სართული ჰქონდეს, სადაც არის პარკინგი, დამხმარე სათავსოები, სავარჯიშო და საკონფერენციო დარბაზები, სამრეცხაო, კორპუსის დაცვა და ა.შ... ცათამბჯენებში ასეთი დამხმარე ობიექტები მიწისქვეშა ნაწილშია და ამის წყალობით ობიექტი გადატვირთული აღარ არის. ასეთი შენობები კი არ დატვირთავს, არამედ განტვირთავს ქალაქს, რადგან ნაკლები დანახარჯით უფრო მეტ ხალხს დავაბინავებთ. 24-30-40-სართულიანი ცათამბჯენები, თუ ის ევროპული სტანდარტის მიხედვით არის აშენებული, საცხოვრებლად საკმაოდ კომფორტულია და კომერციული თვალსაზრისითაც მომგებიანია. იქ მცხოვრებ ადამიანს შენობიდან გამოსვლა არც სჭირდება, რაც ცათამბჯენის დიდი პლუსია. თანაც, სასურველია მიმდებარე ტერიტორიაზე რეკრეაციული ზონა მოეწყოს.

***– თუმცა ცათამბჯენებით ვერ დავჩრდილავთ 4-5-სართულიან სახლებს, რომლებიც ქალაქის ისტორიულ ნაწილში მდებარეობს.***

– ძველ თბილისში არის შენობები, რომლებიც კარგადაა შემონახული, მაგრამ, ამავე დროს, არის ნახევრად დანგრეული სახლებიც, რომლებსაც ვერც ვანგრევთ და ვერც ახალს ვაშენებთ. ამიტომაც უნდა მოხერხდეს იქ მცხოვრები მოსახლეობის სხვა ადგილას დასახლება. ქალაქის ძველ ნაწილში ზოგიერთი შენობის აღდგენა და რესტავრაცია შეუძლებელია. ძველი უბნების იერსახე და არქიტექტურული სტილი უნდა შევინარჩუნოთ, მაგრამ მათი გაკეთილშობილებაც საჭიროა. მრავალსართულიანი კორპუსების აგება ახალ უბნებშია სასურველი, თუმცა ძველ თბილისშიც შეიძლება, ოღონდ, გარემოს უნდა მოუხდეს და ქალაქის იერსახე არ უნდა დაამახინჯოს.

***– ბატონო შოთა, არსებობს მოსაზრება, რომ ქართველი მშენებლები ვერ დაიცავენ იმ სტანდარტებს, რომლის დაცვაც ცათამბჯენის აგებისას აუცილებელია.***

– კრიტიკოსები ყოველთვის იქნებიან, მაგრამ მთავარი სულ სხვა რამეა: თუ არქიტექტორი და კონსტრუქტორი შენობას სწორად დაგეგმავენ და ყველა დეტალს სწორად გათვლიან, ცათამბჯენის აშენება ძნელი სულაც არ არის. ჩემთვის, როგორც მშენებლისთვის, ერთგვარი აზარტიც კია, რომ მომხმარებელს ინოვაციური და განსხვავებული პროდუქტი შევთავაზოთ.

***– ესე იგი, თბილისი შეიძლება გახდეს ცათამბჯენების ქალაქი?***

– რა თქმა უნდა და ეს სწორი მიმართულება იქნება. მართალია, დედაქალაქის სტუმრებს დუბაის ან ნიუ იორკის მსგავსი ცათამბჯენებით ვერ გავაოცებთ, მაგრამ ეს პროცესი ურბანისტიკის მომავალია და ის გარდაუვალია.

***– დაბოლოს, სეისმური თვალსაზრისით რამდენად უსაფრთხოა ცათამბჯენები?***

– არანაირ საფრთხეს მრავალსართულიანი კორპუსები არ წარმოადგენს. სწორად დაგეგმილი ცათამბჯენი სავსებით უსაფრთხოა, არასწორად დაგეგმილი კი – ცათამბჯენიც საშიშია და სამსართულიანი სახლიც. სხვათა შორის, ბოლო წლებში თბილისში აშენდა რამდენიმე ცათამბჯენი, რომელიც კონსტრუქციულად და არქიტექტურული თვალსაზრისით ძალიან კარგია. ეს პირველი ნაბიჯებია და მე ვფიქრობ, რომ ეს პროცესი მომავალშიც წარმატებით გაგრძელდება.

# რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს ავტომობილების ტექდათვალიერების ცენტრები



„ავტომობილების ტექნიკური ინსპექტირების ცენტრი (პტი) ხალხმრავალ და სატრანსპორტო საშუალებების ინტენსიური მოძრაობის ადგილებში არ უნდა მდებარეობდეს“.

ამის შესახებ ავტომობილების ტექდათვალიერებასთან დაკავშირებით შვეიცარიული კომპანიიის SGS-ის მიერ მომზადებულ ანგარიშშია საუბარი. სწორედ აღნიშნული კომპანია You must have Flash Player installed in order to see this player უწევს კონსულტაციას სახელმწიფოს ავტომობილების ტექდათვალიერებასთან დაკავშირებით.

კომპანიის ანგარიში პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების შენობა-ნაგებობებისა და აღჭურვილობის მოთხოვნების განსაზღვრას, ასევე, პერსონალის ტექნიკურ კვალიფიკაციას ეხება.

– ცენტრები უნდა შეესაბამებოდეს ადგილობრივ რეგულაციებს. ცენტრის შესასვლელი და გამოსასვლელი უნდა იყოს დამოუკიდებელი, მითითებული უნდა იყოს

პტი ცენტრიდან საგზაო მოძრაობაში შეუფერხებელი და უსაფრთხო გადასვლის გზები და საშუალებები, – ნათქვამია ეკონომიკის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ამასთან, დოკუმენტში ჩამოთვლილია ის აღჭურვილობა, რაც ცენტრებს უნდა გააჩნდეს. მათ შორის ძირითად აღჭურვილობას წარმოადგენს: ავტოსატრანსპორტო საშუალებების (ასს) ქვემოდან სათანადოდ დათვალიერებისა და შემოწმების საშუალება, ინსპექტირების სათვალთვალო ორმო ან ამწე; ფარების ტესტირების საშუალება; სამუხრუჭო ტესტერი; გამონაბოლქვის შესამოწმებელი მოწყობილობა: გაზოანალიზატორი; დიზელის გამონაბოლქვის გამჭვირვალობის მზომი; თვლების შეყრის კუთხის მზომი (მხოლოდ LV კატეგორიისათვის); თვლის ფოლხვის დეტექტორი.

ანგარიშის თანახმად, ტესტირების ცენტრი ვალდებულია, ყოველი თვის 10 რიცხვამდე შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციას წინა თვის განმავლობაში ტესტირებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ნუსხა მიაწოდოს.

ავტოსატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო ტექნიკური ინსპექტირება 2018 წლის 1 იანვრიდან დაიწყება და ის ეტაპობრივად განხორციელდება.

# ადვოკატი: „დეკანოზი გიორგი მამალაძე ექიმების განსაკუთრებული კონტროლის ქვეშაა“

– ციანიდის საქმეზე მსჯავრდებული დეკანოზი გიორგი მამალაძე ექიმების განსაკუთრებული კონტროლის ქვეშაა.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ დეკანოზის ადვოკატმა მიხეილ რამიშვილმა განუცხადა. როგორც მან აღნიშნა, მას შემდეგ, რაც დეკანოზმა საკვებისა და მედიკამენტების მიღება შეწყვიტა, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა.



– შაქარი დაუვარდა და სამედიცინო კუთხით ძალიან დიდი კონტროლის ქვეშაა, ვინაიდან ნაოპერაციებია. ემოციური განწყობა, საკვებისა და მედიკამენტების არმიღება ძალიან ცუდად მოქმედებს მამა გიორგის ჯანმრთელობაზე. ამჟამად მიმდინარეობს ანალიზების გამოკვლევა. ამ ადამიანს ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს უნგრევენ, – განაცხადა რამიშვილმა.

ადვოკატის თქმით, ვინაიდან დეკანოზი ექიმების განსაკუთრებული დაკვირვების ქვეშაა, სამედიცინო პერსონალის გადასაწყვეტია, უნდა მოხდეს თუ არა მამა გიორგი მამალაძის გადაყვანა სამოქალაქო საავადმყოფოში.

დეკანოზ გიორგი მამალაძეს პროკურატურა შორენა თეთრუაშვილის მკვლელობის მომზადებას ედავება. მას ბრალად თავდაპირველად მკვლელობის მომზადებისა და იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა ედებოდა, თუმცა მოგვიანებით პროკურატურამ ბრალი დაუმძიმა და ანგარებით განზრახ მკვლელობის მომზადების მუხლში გადაუკვალიფიცირა. დეკანოზ გიორგი მამალაძის ბრალდების საქმეზე პროკურატურამ ძიება 27 აპრილს დაასრულა. საგამოძიებო უწყების ვერსიით, არსებული მატერიალური და იერარქიული მდგომარეობის შენარჩუნებისა და მომავალში კარიერული წინსვლის უზრუნველსაყოფად, დეკანოზმა გიორგი მამალაძემ ანგარებით განიზრახა ძლიერმოქმედი მომწამვლელი ნივთიერების ციანიდის გამოყენებით შორენა თეთრუაშვილის მკვლელობა.

დეკანოზი სასამართლომ 5 სექტემბერს დამნაშავედ ცნო და 9 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. ამასთან, მოსამართლის გადაწყვეტილებით, დეკანოზს ბრალი გადაუკვალიფიცირა და მამა გიორგი მამალაძე შურისძიების მოტივით მკვლელობის მომზადებაში ცნო დამნაშავედ.

# კობა დავითაშვილი სასამართლოში დაკითხვაზე ეტლით მიიყვანეს



კობა დავითაშვილი თბილისის საქალაქო სასამართლოში დაკითხვაზე იმყოფება. დავითაშვილი მისი ცემის საქმეზე, სადაც იუსტიციის ყოფილი მინისტრი ზურაბ ადეიშვილია ბრალდებული, ეტლით მიიყვანეს. როგორც დავითაშვილმა აღნიშნა, ნერვიულობის ნიადაგზე რამდენიმე მძიმე დაავადება აქვს. რაც შეეხება მისი ცემის საქმეს, დავითაშვილმა აღნიშნა, რომ 2007 წლის ნოემბრის აქციების მიმდინარეობისას, მისი გატაცება და ცემა მიხეილ სააკაშვილის დავალებით, პოლიტიკური ანგარიშსწორების მიზნით განხორციელდა.

– ეს იყო თავდასხმა ნახევრად სამხედრო ფორმაში გადაცმული ადამიანების, რომლებიც სახეს არ მალავდნენ. ეს არ იყო არც დაკავება, არც დაპატიმრება. ეს იყო პირდაპირ თავდასხმა. მათ ჰქონდათ გასაშლელი ლითონის ხელკეტები, რომლითაც ყოველგვარი განმარტების გარეშე დამესხნენ თავს.

როდესაც შევეცადე, მათთვის რამე ამეხსნა, არ მომცეს ამის საშუალება. ძირს დამაგდეს და ათზე მეტი კაცი მირტყამდა, – განაცხადა კობა დავითაშვილმა დაკითხვის დაწყებამდე.

# ლია მუხაშავრია: „ადრე თუ გვიან სააკაშვილის ექსტრადირება მოხდება. ეს უბრალოდ დროის საკითხია“

– ვფიქრობ, რომ ადრე თუ გვიან მიხეილ სააკაშვილის ექსტრადირება მოხდება. ეს უბრალოდ დროის საკითხია, რადგან ეს ადამიანი, მე მგონი, უკრაინაშიც აღარავის უნდა, – ასე ეხმაურება იურისტი ლია მუხაშავრია უკრაინის იუსტიციის მინისტრის განცხადებას იმის თაობაზე, რომ უწყება სააკაშვილის საქართველოში ექსტრადიციაზე გადაწყვეტილებას შესაბამისი შემოწმების შემდეგ მიიღებს.

როგორც მუხაშავრია „ინტერპრესნიუსთან“ აცხადებს, მინისტრის ეს განცხადება იმაზე მიუთითებს, რომ უკრაინის ხელისუფლებაში, როგორც მინიმუმ, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ექსტრადიციაზე ფიქრობენ და ამ საკითხის გადაწყვეტას დადებითად აპირებენ.

სააკაშვილის მიმართ უკვე არის გამოტანილი და ძალაში შესული კანონიერი გამამტყუნებელი განაჩენი და ეს სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ მისი ექსტრადიცია მოხდეს, ანუ სარწმუნო და დამაჯერებელია საქართველოს მთავრობის მოთხოვნა მისი საქართველოში ექსტრადიციის თაობაზე, მით უფრო, რომ დამაბრკოლებელი გარემოება უკრაინის მოქალაქეობის სახით აღარ არსებობს.

როცა ვნახე, როგორ შევიდა ის უკრაინის ტერიტორიაზე და გადალახა სასაზღვრო კონტროლის პუნქტი, დამებადა აზრი, რომ შეიძლება მისი ექსტრადიციის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული იყოს, მაგრამ აღსრულება გარკვეულ მიზეზთა გამო ვერ მოახერხონ. იმის გამო, რომ ისედაც საომარ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანაში მეტი არეულობა და დესტაბილიზაცია არ გამოიწვიონ. როგორც ჩანს, იქ ვითარება საკმაოდ არასტაბილურია და ხელისუფლების ორგანოების ფუნქციონირება საკმაოდ შეზღუდულია, – აცხადებს მუხაშავრია.

იგი არ ეთანხმება უკრაინის იუსტიციის მინისტრის ნათქვამს იმის თაობაზე, რომ სააკაშვილის საქართველოსათვის გადმოცემა წმინდა წყლის სამართლებრივი საკითხია და რომ ამაში პოლიტიკა არ ურევია. იურისტის თქმით, ზოგადად ექსტრადიცია, პირველ რიგში, კანონთანაა დაკავშირებული, მაგრამ პოლიტიკური იმდენად არის, რამდენადაც ხელისუფლება, რომელიც ექსტრადიციის გადაწყვეტილებას იღებს ან არ იღებს, ხელმძღვანელობს მოტივით – მიმართოს კანონმდებლობას თუ არ მიმართოს.

– ანუ, პოლიტიკური გადაწყვეტილება ექსტრადიციის, ან მასზე უარის შესახებ ვერანაირად ვერ იქნება მიღებული შესაბამისი კანონმდებლობის გარეშე, მაგრამ ნება იმისა, რომ გამოიყენონ ეს კანონი, რა თქმა უნდა, პოლიტიკურია.

იმის გათვალისწინებით, რაც მოხდა სააკაშვილის ექსტრადიციაზე წინა პერიოდში, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს პოლიტიკური საკითხია, იმიტომ რომ მისი გადმოცემის შესახებ მოთხოვნა არსებობდა და პოლიტიკური ნება რომ ყოფილიყო, მოხდებოდა კიდეც. დღეს, როგორც ჩანს, პოლიტიკური ნება მომწიფდა და სამართლებრივი კუთხეც ადგილზე აღმოჩნდა, – დასძენს იურისტი.



შეგახსენებთ, რომ უკრაინის იუსტიციის მინისტრის პაველ პეტრენკოს თქმით, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, ოდესის ოლქის ყოფილი გუბერნატორის მიხეილ სააკაშვილის საქართველოში ექსტრადიციაზე გადაწყვეტილებას, შესაბამისი შემოწმების შემდეგ, უკრაინის იუსტიციის სამინისტრო მიიღებს.

– ექსტრადიცია არის წმინდა წყლის იურიდიული და სამართლებრივი პროცედურა. ჩვენ დემოკრატიულ სახელმწიფოში ვცხოვრობთ. საბოლოო გადაწყვეტილებას, შესაბამისი შემოწმების მასალებზე დაყრდნობით, იუსტიციის სამინისტრო მიიღებს. არანაირი პოლიტიკა ამ გადაწყვეტილებაში არ იქნება, – განაცხადა პეტრენკომ.

# მალხაზ ველიჯანაშვილი: „ჩვენთვისაც გაუგებარია, ვინ მიაყენა სანდრო გირგვლიანს სასიკვდილო ჭრილობები“

საქალაქო სასამართლოში სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე ოთხი მოწმე დაიკითხა, მათ შორის, სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს ორი ექსპერტი, მაღაზიის გამყიდველი და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომელი.

საქმის ადვოკატ მალხაზ ველიჯანაშვილის განცხადებით, აღნიშნული მოწმეების ჩვენების მიხედვით, დავით ახალაიას ბრალეულობა არ იკვეთება, ვინაიდან, მისივე თქმით, მათ ჩვენებებს ბრალთან შემხებლობა არ გააჩნია. დავით ახალაიას ადვოკატი ამბობს, რომ ამ დროის განმავლობაში მათთვისაც გაუგებარია, თუ ვინ მიაყენა სანდრო გირგვლიანს სასიკვდილო ჭრილობები.



რაც შეეხება მაღაზიის გამყიდველის ჩვენებას, ველიჯანაშვილის თქმით, მისთვის საერთოდ გაუგებარია, თუ რა დაადასტურა ამ მოწმემ.

– ის მოვიდა და ამბობს, რომ სხვა საქმეზე დაიკითხა და სხვა რაღაცას ელოდა სასამართლოში. ასევე, რაც შეეხება ექსპერტებს, მათ ისაუბრეს გარდაცვალების მიზეზებზე. ვფიქრობ, რომ მათ დაცვისთვის მნიშვნელოვანი გარემოებები დაადასტურეს. შესაბამისად, ამაზე დასკვნით სიტყვაში ვიმსჯელებთ. მნიშვნელოვანი გარემო არის ის, რომ დაცვის მხარეს აინტერესებს, თუ ვინ მიაყენა ჭრილობა სანდრო გირგვლიანს. დავით ახალაიას ბრალად არაფერი აქვს შერაცხული. მოწმეებმა ბიბილურიძემ და აფციაურმა განაცხადეს, რომ გირგვლიანი ისე გაიქცა, თითიც არ დაუკარებიათ. შესაბამისად, ჩვენც გვაქვს კითხვები, ვინ მიაყენა დაზიანებები და საქმე გამოუძიებელი რატომ არის, – განაცხადა მალხაზ ველიჯანაშვილმა.

# პრეზიდენტის შვილის მეგობრის, თორნიკე კაჭარავას სასამართლო პროცესზე ორი გამომძიებელი დაიკითხა



თბილისის საქალაქო სასამართლოში პრეზიდენტის შვილის მეგობრის, ნარკოდანაშაულში ბრალდებულ თორნიკე კაჭარავას საქმის განხილვა დასრულდა. გუშინდელ პროცესზე ორი გამომძიებელი დაიკითხა.

როგორც პროცესის დასრულების შემდეგ ადვოკატმა ირმა ჭკადუამ ჟურნალისტებს განუცხადა, მისი დაცვის ქვეშ მყოფს იარაღი არ ჰქონდა და ვინაიდან ბრალდებამ კაჭარავას იარაღი ვერ უპოვა, ნარკოტიკების შეძენა-შენახვაზე წარუდგინეს ბრალი. ადვოკატის განმარტებით, არცერთ საკითხში მისი დაცვის ქვეშ მყოფის ბრალეულობა არ იკვეთება.

– დღეს ამ საქმეზე დაიკითხა ორი გამომძიებელი. ერთ-ერთი გამომძიებელი, რომელმაც პატაკის ავტორი გამოკითხა, რომელმაც თითქოსდა გამოძიებას მიაწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ თორნიკე კაჭარავას ცეცხლსასროლი იარაღი ან თან, ან სახლში უნდა ჰქონოდა. ცეცხლსასროლ იარაღზე არსებობდა პატაკი და მის შეძენა-შენახვაზე დაიწყო გამოძიება. ამ საქმეზე გამოძიება 236-ე მუხლით არის დაწყებული, მაგრამ ვინაიდან კაჭარავა საავადმყოფოში ნახეს, სადაც მას ეცვა ისეთი შარვალი, რომელშიც იარაღს ვერანაირად ჩაიდებდა და იმყოფებოდა ექიმთან, იძულებული გახდნენ, რომ მოეფიქრებინათ ის, რაც მოიფიქრეს, თითქოს მას ნარკოტიკი ფეხსაცმელში ჰქონდა.

ამ საქმეში კაჭარავას დნმ არ არსებობს, რომელიც თითქოს მათ ამოიღეს. მას არანაირი შემხებლობა არ ჰქონია ნარკოტიკულ ნივთიერებასთან, – განაცხადა ირმა ჭკადუამ.

# გიორგი ონიანი: „აქციაზე დაკავებულ ადამიანებს არანაირი სამართალდარღვევა არ ჩაუდენიათ“

– ბუნებაში ვერანაირი ვიდეოჩანაწერი ვერ იარსებებს, რადგან ამ ადამიანებს არანაირი სამართალდარღვევა არ ჩაუდენიათ.

ამის შესახებ ჟურნალისტებს გუშინდელი აქციის დროს დაკავებულების ადვოკატმა გიორგი ონიანმა განუცხადა. მისი თქმით, 17 ოქტომბერს სასამართლო ამ ადამიანების უდანაშაულობას დაადასტურებს.

– ბუნებაში ვერანაირი ვიდეოჩანაწერი ვერ იარსებებს, რადგან ამ ადამიანებს არანაირი სამართალდარღვევა არ ჩაუდენიათ. დარწმუნებული ვარ, რომ 17 ოქტომბერს ეს ადამიანები გამართლდებიან. ეს ადამიანები იქნებიან თავისუფლებაში და ყველანაირად ხელს შეუშლიან ბიძინა ივანიშვილისთვის ქონების ერთ ლარად გადაცემას, – განაცხადა ონიანმა.

გუშინ თბილისის მერიასთან ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერების მიერ გამართულ აქციაზე 6 პირი დააკავეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, თბილისის მერიასთან გამართულ აქციაზე 6 ადამიანი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედებისთვის დააკავეს.

ნაცმოძრაობის აქციაზე დაკავებული პირები სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს, მათი სასამართლო პროცესი კი 17 ოქტომბრისთვის გადაიდო. სხდომის გადადების მიზეზი მოსამართლის დადგენილება გახდა. მოსამართლე ნინო ჭალიძის გადაწყვეტილებით, მერიას სასამართლოსგან გაეგზავნება დადგენილება, რომ სასამართლოს წარუდგინოს აქციის ამსახველი სათვალთვალო ვიდეოკამერების ჩანაწერები.



# სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით ქონების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე 14 პირი პასუხისგებაში მისცეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ყალბი დოკუმენტების გამოყენებით სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით ქონების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე 14 პირი პასუხისგებაში მისცა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საგამოძიებო სამსახურიდან აცნობეს, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა სხვადასხვა პერიოდში დაამზადეს 1997-1998 წლებით დათარიღებული ყალბი მიღება-ჩაბარების აქტები, რომლის თანახმად, მათ სახელმწიფოსგან საკუთრებაში გადაეცათ მიწის ნაკვეთები. გაყალბებული დოკუმენტების გამოყენებით, ბრალდებულმა პირებმა საკუთრებად დაარეგისტრირეს სოფელ ნატახტარში, საგურამოსა და სოფელ დიღომში არსებული საერთო ჯამში 45 650 კვ.მ მიწის ფართობი. მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული ქონების ღირებულება დაახლოებით ერთ მილიონ ლარს შეადგენს.

ამ ეტაპზე ტარდება კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი მოქმედებები მოტყუებით დაუფლებული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ დაბრუნების და აღნიშნულ დანაშაულებრივ ქმედებაში მონაწილე სხვა პირების გამოვლენა-მხილების მიზნით.

საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 180-ე მუხლის მესამე ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით.

# ისლამური სახელმწიფოს ახალი ტაქტიკა

**მარიამ მჭედლიშვილი**

## ლას-ვეგასში მასშტაბური ტერაქტის მომწყობი ხალიფატის ჯარისკაცი აღმოჩნდა



ლას-ვეგასის სისხლიან დანაშაულზე პასუხისმგებლობა ისლამურმა სახელმწიფომ იკისრა.

„ახალი თაობა“ ორი დღის წინ წერდა, რომ გავრცელდა ტერორისტული დაჯგუფება ისლამური სახელმწიფოს ახალი მიმართვა. მოწოდება გაკეთდა ხალიფა აბუ ბაქრ ალ-ბაღდადის სახელით. მანამდე ისლამური სახელმწიფოს მეთაური დაღუპულად ითვლებოდა.

მუქარის შემცველი მიმართვის გავრცელებიდან ცოტა ხანში მოხდა სისხლიანი ინციდენტი ლას-ვეგასში, რომლის დროსაც 500-ზე მეტი ადამიანი დაშავდა და 50-ზე მეტი დაიღუპა. ამის მომწყობმა, 64 წლის ნევადელმა სტივენ პედოკმა თავი მოიკლა.

ისლამურმა სახელმწიფომ მომხდარზე პასუხისმგებლობა აიღო, სტივენ პედოკს კი ხალიფატის ჯარისკაცი უწოდა.

დაჯგუფების მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ პედოკი ამ საქციელით გამოეხმაურა აბუ ბაქრ ალ-ბაღდადის მოწოდებას. ხალიფა თავის მიმდევრებს მოუწოდებს, შეუტიონ ურჯულოების საინფორმაციო და იდეოლოგიურ ცენტრებს და თავდასხმები მოაწყონ კოალიციის ჯვაროსნებზე, რომლებიც ისლამურ სახელმწიფოს ებრძვიან.

პენსიონერმა სტივენ პედოკმა ისლამი რამდენიმე თვის წინ მიიღო. მისი ძმა ირწმუნება, რომ სტივენ პედოკს რელიგიური და პოლიტიკური გატაცებები არ ჰქონია. იგი ნადირობდა და ხანდახან სტუმრობდა ლას-ვეგასის კაზინოებს.

სასტუმროს ნომერში, რომელშიც ის ლას-ვეგასში ცხოვრობდა, 8 ერთეული თოფი და პისტოლეტი აღმოაჩინეს. დადგენილია, რომ მან სულ ცოტა ათასი გასროლა განახორციელა. ერთი პისტოლეტი მან იუტას შტატში ახლახან იყიდა და წარმატებით ჩააბარა ამისათვის აუცილებელი შემოწმება.

ეს სისხლიანი ტერაქტი ადასტურებს, რომ სირიასა და ერაყში ისლამისტების განადგურება არ ნიშნავს ტერორიზმის დამარცხებას.

ექსპერტები ჯერ კიდევ ლას-ვეგასის ტერაქტამდე მივიდნენ დასკვნამდე, რომ ისლამურმა სახელმწიფომ ტაქტიკა შეიცვალა. თუ ადრე უპირატესობა ენიჭებოდა რთულად ორგანიზებად ჯგუფურ თავდასხმებს, ამჟამად ამოცანის შესასრულებლად საკმარისია ერთი ადამიანის მოქმედება, რაც შესაძლებელია მინიმალური ორგანიზებითა და ხარჯებით. მთავარია, თანხმობის მიღება ცენტრიდან.

შეცვლილია ჯიჰადისტების მიღების წესებიც. თუ ადრე ისლამური სახელმწიფოს დაჯგუფებაში შესასვლელად სპეციალური მომზადება და კარანტინის გავლა იყო საჭირო, ამჟამად მთავარია, კონტაქტი ინტერნეტით.

ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ისლამისტების ნაწილს ხალიფატთან ურთიერთობა კარგა ხანია დამყარებული აქვთ. მათ დისტანციურად კავკასიიდან ერთგულება შეჰფიცეს ალ-ბაღდადის.

კავკასიელი ხალიფატის ჯარისკაცები ამ ერთგულებას მუდმივად ამტკიცებენ. მათი სამიზნე ყველაზე ხშირად ძალოვნები ხდებიან. 2015 წლიდან რუსეთის სამხრეთში 14 თავდასხმა მოხდა, რომლებზეც პასუხისმგებლობა აიღო ისლამურმა სახელმწიფომ.

ამჟამად დაღესტანში მიმდინარე კონტრტერორისტული ოპერაციისას მოკლეს ორი ახალგაზრდა. მათ ბრალად ედებათ 30 სექტემბერს ყიზლარის რაიონში პოლიციელის მკვლელობა.

ჩრდილოკავკასიელები დააკავეს პოდმოსკოვიეში. მათი ვინაობა არ სახელდება. დადგენილია, რომ კავკასიაში მათ ჯგუფს ისლამური სახელმწიფოს უცხოელი ემისრები მართავდნენ. დაკავებულებს იარაღი და ასაფეთქებელი მოწყობილობები აღმოუჩინეს. მათ აღიარეს, რომ ტრანსპორტსა და მასობრივი თავშეყრის ადგილებში ხალხის დახოცვას გეგმავდნენ.

# სასაკლაო ვეგასში





ლას-ვეგასი თავისი კაზინოებითა და სათამაშო კლუბებითაა განთქმული. სისხლიანი დანაშაული აქ იშვიათობაა. თუმცა ამჟამად ეს დაირღვა. ტრაგედიამ, რომელიც აქ მოხდა, არა მხოლოდ ამერიკა, მთელი მსოფლიო შეძრა.

ტრაგედია ვეგასის ყველაზე მსხვილ კაზინოსთან მოხდა. უცნობმა მამაკაცმა ხალხს შაშხანიდან ცეცხლი გაუხსნა. ატყდა საშინელი კივილი, შემდეგ დაიწყო ჭყლეტა. მამაკაცი კი იცინოდა და ისროდა. შედეგად 58 ადამიანი დაიღუპა. ბევრი ჭყლეტაში მოყვა. ჰოსპიტალიზებულია 600 მოქალაქე. ბევრი მათგანის მდგომარეობა მძიმეა.

კაზინოს მიმართულებით ცეცხლი გვერდით მდებარე ოტელიდან გახსნეს. პოლიცია ოტელში შევარდა, მაგრამ მსროლელის აყვანა ვერ მოხერხდა. მან თავი მოიკლა. მისი ვინაობა უმალ დადგინდა. ის 64 წლის სტივენ პადოკი აღმოჩნდა.

მისი ბიოგრაფია ტიპიური ამერიკელის ბიოგრაფიისაგან თითქოს ბევრით არაფრით განსხვავდებოდა. პადოკს ჰქონდა მფრინავის ლიცენზია, ჰყავდა ორი თვითმფრინავი, ხშირად დადიოდა კაზინოში. არასოდეს ცუდ საქციელში შემჩნეული არ ყოფილა.

პადოკის ნომრის გაჩხრეკისას იქ იარაღის მთელი არსენალი აღმოაჩინეს. ამან მისი ახლობლების უდიდესი გაოცება გამოიწვია.

– სტივენი იარაღის ფანატი არასოდეს არ ყოფილა. საოცარია, ამდენი იარაღი სად იშოვა?! – განუცხადა პოლიციას მისმა ძმამ.

გამოძიების ფედერალური ბიუროს თანამშრომელთა ცნობით, ჯერჯერობით პადოკის რომელიმე ტერორისტულ დაჯგუფებასთან კავშირი ვერ დადგინდა. მანამდე პადოკი არც პოლიციის, არც გფბ-ს თვალთახედვის არეში არ მოხვედრილა. ამავე დროს ლას-ვეგასის შერიფი ლომბარდი, რომელიც სროლის ფაქტს შეესწრო, ამბობს:

– კაცი, რომელმაც ლას-ვეგასში სროლა ატეხა, უჩვეულოდ აგრესიული და გაბორიტებული იყო!

ჯერჯერობით დაუდგენელია, რამ განაპირობა პადოკის ასეთი გაბოროტება და რამ აიძულა, ასეთი მასობრივი მკვლელობა ჩაედინა.

პრეზიდენტმა ტრამპმა მომხდარის გამო მოსახლეობას ტელევიზიით მიმართა.

– მე შოკირებულ ვარ! – თქვა ტრამპმა.

თეთრ სახლთან უამრავი მოქალაქე შეიკრიბა. მათ დაღუპულთა ხსოვნას წუთიერი დუმილით პატივი სცეს. შეკრებილთა შორის იყვნენ თავად პრეზიდენტი ტრამპი და მისი მეუღლე, ვიცე-პრეზიდენტი მაიკ პენსი თავისი ცოლით. აშშ-ში ხუთდღიანი გლოვა გამოცხადდა.

ვეგასის ხოცვა-ჟლეტაზე პასუხისმგებლობა ისლამურმა სახელმწიფომ აიღო. მიუხედავად ამისა, ამერიკელი ძალოვნები ირწმუნებიან, რომ ამ ეტაპზე პადოკის ტერორისტებთან კავშირი არ იკვეთება.

– დანაშაული გულდასმით იქნება გამოძიებული. ყველა კითხვას პასუხი გაეცემა, – პრეზიდენტმა ტრამპმა ეს ვეგასში დაღუპულთა ახლობლებთან შეხვედრისას განაცხადა.

თეთრი სახლის წარმომადგენელმა სარა სანდერსმა ლას-ვეგასში მომხდარ ტრაგედიას საშინელება უწოდა. ამავე დროს მან აღნიშნა, რომ იარაღზე კონტროლის გამკაცრებაზე საუბარი ნაადრევია.

– დღეს გლოვის დღეა! ვგლოვობთ მათ, ვინც დაიღუპა, ვანუგეშებთ, ვინც გადარჩა! დანარჩენზე შემდეგ მოვილაპარაკოთ! – თქვა სანდერსმა.

# ნავალნი ოცი დღით დააპატიმრეს



რუსეთის დემოკრატიული ოპოზიციის ლიდერი ნავალნი ნიჟნი-ნოვგოროდში ჩავიდა. მან მოსახლეობას მიტინგზე მისვლისკენ მოუწოდა. პასუხად ის დააკავეს. სასამართლომ ნავალნის 20 დღით პატიმრობა მიუსაჯა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ევროკომისია: „კატალონიური რეფერენდუმი უკანონოა!“



კატალონიელი სეპარატისტების ლიდერმა კარლეს პუჩდემონმა განაცხადა, რომ რეფერენდუმი დასრულდა, დამოუკიდებლობას მხარი 90%-მა დაუჭირა.

– ყველაფერი მზადაა საიმისოდ, რომ დამოუკიდებლობა გამოვაცხადოთ, – ამბობს პუჩდემონი.

დიამეტრალურად განსხვავებულია ევროკომისიის შეფასება. მასში ნათქვამია, რომ რეფერენდუმი ესპანეთის მოქმედ კანონმდებლობას ეწინააღმდეგებოდა. შესაბამისად, ის უკანონოა.

– კატალონიური რეფერენდუმი უკანონოა! კატალონიამ უნდა იცოდეს, რომ ესპანეთის შემადგენლობიდან გასვლის შემთხვევაში მას ევროკავშირის წევრობის არავითარი შანსი არა აქვს! – ნათქვამია განცხადებაში.

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ ესპანეთის მთლიანობას მხარს უჭერს. მან აღნიშნა, რომ პოლიტიკური პრობლემები პოლიტიკური მეთოდებით უნდა მოგვარდეს.

– ჩვენ გვსურს, რომ ესპანეთი ერთიან სახელმწიფოდ დარჩეს, მშვიდობა შენარჩუნდეს, ადამიანის უფლებებიც დაცული იყოს, – თქვა ტრამპმა.

კატალონიაში კი საერთო-ეროვნული გაფიცვა დაიწყო. მისი ორგანიზატორი ადგილობრივი პროფკავშირებია.

– ჩვენ რეფერენდუმის დღეს პოლიციელთა ძალადობას ვაპროტესტებთ, – ნათქვამია პროფკავშირების განცხადებაში.


# განცხადებები

## ჯანმრთელობა, მკურნალობა

- ვმკურნალობ კარგი შედეგით სქესობრივ სისუსტეს, პროსტატიტისა და გარეთა სასქესო ორგანოების ანთებით დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს. გვაქვს სქესობრივი კონტაქტების დასამყარებლად „ერექტორები“. კონსულტაცია უფასო. ტელ.: 214-07-72; 299-95-33; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.
- სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული რჩევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.
- ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.
- ჩვენი ბავშვების ჯანმრთელობა ჩვენს ხელთაა – კალცი აუცილებელია გონებრივი განვითარებისათვის, ძვლიან-კუნთოვანი ჩონჩხისთვის, იმუნიტეტისათვის. 95%-ით აითვისება ორგანიზმის მიერ. ტელ: 599-61-75-82.
- გინდა იყო მუდამ ჯანმრთელი? მთელი ორგანიზმის დიაგნოსტიკა – პრობლემების გამოვლინება ადრეულ სტადიაზე. აქცია თვის ბოლომდე, კუპონის წარმომადგენელს ფასდაკლება 30%. ტელ: 595-472-471.
- ეკოლოგიურადსუფთაპროდუქციაოზონატორიარის მთელი ოჯახის ჯანმრთელობის საწყისი: ხილისა და ბოსტნეულის დეზინფექცია; წყლისა და საბავშვო ჭურჭლის, სათამაშოების გაწმენდა. ტელ: 599-61-75-82.
- სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.
- კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# ვაისის კრებულმა მზადება დაიწყო

მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის ბოლო მატჩებს საქართველოს ნაკრები უელსისა და სერბეთის წინააღმდეგ გამართავს.

ვლადიმირ ვაისის გაწვრთნილი გუნდი 6 ოქტომბერს შინ უელსს დაუხვდება, ხოლო 9 ოქტომბერს სერბეთს ბელგრადში ესტუმრება.

საქართველოს ეროვნულმა საფეხბურთო ნაკრებმა უელსთან და სერბეთთან მატჩებისთვის მზადება დაიწყო. პირველ დღეს ვაისის გუნდმა თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ზესტაფონის მოედანზე არასრული შემადგენლობით ივარჯიშა. პროცესი ერთ საათს გაგრძელდა.



საბოლოოდ გაირკვა, რომ წლის ბოლო 2 შეხვედრაში ნაკრებს ტრავმების გამო თორნიკე ოქრიაშვილი და ჯანო ანანიძე ვერ დაეხმარებიან. ორივე ფეხბურთელმა გასულ კვირას ტრავმა მიიღო და სანაკრებო მატჩებში მონაწილეობა გამოირიცხა.

გუშინ ნაკრებს 8 ლეგიონერი შეუერთდა და საწვრთნელ პროცესში 25-ვე ფეხბურთელმა მიიღო მონაწილეობა.

**ესენი არიან:**

**მეკარეები:** გიორგი ლორია (ანჟი, რუსეთი), გიორგი მაკარიძე (მორეირენსე, პორტუგალია), ნუკრი რევიშვილი (დინამო თბ);

**მცველები:** ოთარ კაკაბაძე (ხიმნასტიკი, ესპანეთი), გურამ კაშია (ვიტესი, ჰოლანდია), დავით ხოჭოლავა (შახტარი, უკრაინა), უჩა ლობჟანიძე (ატირაუ, ყაზახეთი), სოლომონ კვერკველია (ლოკომოტივი, რუსეთი), ლაშა დვალი (პოგონი, პოლონეთი) გიორგი ნავალოვსკი (სკა ენერგია, რუსეთი), ლაშა შერგელაშვილი (რიგასი, ლატვია);

**ნახევარმცველები:** ნიკა კვეკვესკირი (ტობოლი, ყაზახეთი), ჯაბა კანკავა (უგუნდო), გიორგი აბურჯანია (სევილია, ესპანეთი), ვაკო ყაზაიშვილი (სან ხოსე, აშშ), ჯაბა ჯიღაური (ვარდარი, მაკედონია), ვაკო გვილია (ბატე, ბელარუსი), გიორგი მერებაშვილი (ვისლა, პლოცკი, პოლონეთი), გიორგი ჭანტურია (ურალი, რუსეთი); ოთარ კიტეიშვილი (დინამო, თბილისი), ლუკას ჰუფნაგელი (ნიურნბერგი, გერმანია);

**თავდამსხმელები:** გიორგი ქვილითაია (რაპიდი, ავსტრია), ლადო დვალიშვილი (ატირაუ, ყაზახეთი), ირაკლი სიხარულიძე (ლოკომოტივი), დავით სხირტლაძე (სილკებორგი, დანია).

# რობერტ ლევანდოვსკი: „გერდ მიულერს 5 გოლი 9 წუთში არ გაუტანია“

2015 წლის შემოდგომა, 20 გრადუსი ტემპერატურა და წვიმა მიუნხენში, სადაც ოქტობერფესტის დროს ყველა ლუდის ბაღი ხალხითაა სავსე, უამრავი სტუმარი, რომლებიც ძალიან დიდი ინტერესით ელოდნენ დაუმარცხებელი ბაიერნის თამაშს ბუნდესლიგის მე-6 ტურში ვოლფსბურგის წინააღმდეგ.

ფეხბურთის ისტორიას უამრავი გრანდიოზული საღამო ახსოვს, თუმცა ადამიანისთვის ძალიან რთული წარმოსადგენია ის, რაც იმ საღამოს ალიანს არენაზე მოხდა...

ხსენებული მატჩის თერთმეტეულში ბაიერნის პოლონელი ვარსკვლავი რობერტ ლევანდოვსკი ვერ მოხვდა, რადგან მიკრო ტრავმა აწუხებდა და ბავარიელთა კატალონიელი დამრიგებელიც პეპ გვარდიოლა რისკზე არ წავიდა.

მაგრამ, როდესაც ბაიერნმა პირველი ტაიმი დანიელ კალიჯურის გოლის შემდეგ მინიმალური სხვაობით წააგო, პეპმა ტიაგო ალკანტარას ნაცვლად „ლევა“ მეორე ტაიმის სტარტზევე შეუშვა მინდორზე, ხოლო რაც ამის შემდეგ მოხდა, უკვე საფეხბურთო ისტორიაა...

539 წამში და ბაიერნის პოლონელმა ვარსკვლავმა საკუთარი თავი გინესის რეკორდების წიგნში შეიყვანა, გაიტანა და რა 5 გოლი ვოლფსბურგის კარში.

ზუსტად 2 წელი მას შემდეგ, რაც რობერტმა ზემოთ ხსენებული არაჩვეულებრივი შოუ მოაწყო...

***– რობერტ, როგორ გახსოვს 2015 წლის მატჩი ვოლფსბურგთან?***

– ბევრი რამ მახსოვს იმ დაუვიწყარი დღის შესახებ, ახლაც ვერ ვხსნი თუ როგორ მოხდა ეს ყველაფერი. ეს იყო განუმეორებელი 9 წუთი და 5 გოლი, რომელიც ძალიან მოკლე დროში გავიდა. არ ვიცი, მოხდება თუ არა ახლო მომავალში მსგავსი რამ ფეხბურთში.

***– სასტარტო თერთმეტეულში არ ყოფილხარ, თავიდან სათადარიგოთა სკამზე მოგიწიათ ჯდომა.***

– დარმშდადთან დაპირისპირების დროს, რომელიც ანგარიშით 3:0 მოვიგეთ, ტერფი დავიზიანე და ვოლფსბურგთან გასამართ მატჩამდე გუნდთან ერთად მხოლოდ ერთი ვარჯიში ჩავატარე. ამიტომ პეპ გვარდიოლამ დასვენების საშუალება მომცა და მოედანზე მხოლოდ მეორე ტაიმის სტარტზე შემიშვა.

***– 51-ე წუთზე, ესე იგი, მაშინ, როდესაც ეს ყველაფერი დაიწყო, არტურო ვიდალმა ბურთი საჯარიმოში შეიტანა, მიულერი პასს აკეთებდა, თუმცა ბურთს მეტოქე გუნდის ერთ-ერთმა მცველმა მიჰკრა ფეხი, რომელსაც შენ დახვდი და კარში შეაგორე. შეგიძლია გაიხსენო შენ მიერ გატანილი გოლები?***

– რა თქმა უნდა, მე ვუყურებდი ყველაფერს, რაც მაშინ ჩემ ირგვლივ ხდებოდა, საკმაოდ მაღალ ტემპში ვთამაშობდით, მატჩის განახლების შემდეგ კი ბურთის დაკარგვის ნაცვლად შეტევაში კომბინირებული თამაშის ჩვენება გვსურდა. საჯარიმოში თითოეული ჩაწოდებული ბურთი კი ზუსტი გამოდგა. მახსოვს, 5-6 მეტრიდან გატანის კიდევ ერთი კარგი შანსი მქონდა, თუმცა ვოლფსბურგის ერთ-ერთმა მოთამაშემ შეძლო ბურთის

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## შედეგები

**2 ოქტომბერი**

**ფეხბურთი**

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ოვიედო-სარაგოსა ..................... 2:2

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ფორტუნა-დუისბურგი ............... 3:1

**იტალია. სერია ა**

ფროზინონე-კრემონეზე ............. 0:0

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ლე ავრი-ლორიანი ..................... 3:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ლამია-პანიონიოსი ..................... 1:0

# ზუროსი საქართველოშია და დუდუ დადიანის მემორიალზე კალათბურთელებს აკვირდება

გრძელდება დუდუ დადიანის მემორიალური ტურნირი, რომელსაც სანაკრებო ამბით დავიწყებთ: საქართველოში იმყოფება და მემორიალს თვალს ადევნებდა საქართველოს ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი ილიას ზუროსი.

ყოფილი იმიტომ, რომ კალათბურთის ფედერაციასა და ზუროსს შორის კონტრაქტის ვადა ამოიწურა და თბილისშიც იმიტომ იმყოფება, რომ კონტრაქტის საკითხებზე დაილაპარაკოს. სავარაუდოდ, ზუროსთან ხელშეკრულება გაგრძელდება, რადგან ბერძენი სპეციალისტი საგანგებოდ მოწყობილ მაგიდასთან იჯდა და თაბახის ფურცლებზე რაღაცებს ინიშნავდა.



ახლა ტურნირზე: მეორე დღეს ისეთი შედეგები დაფიქსირდა, ნახევარფინალის საგზური ჯერ ვერც ერთ გუნდს ვერ აქვს განაღდებული და ჯგუფური ეტაპის ბოლო ტური უპასუხებს კითხვას, თუ ვინ განა პლეი ოფში.

გათამაშების სისტემის თანახმად, 3 ჯგუფიდან ნახევარფინალში პირდაპირ გავა 3 საუკეთესო გუნდი, რომლებსაც 1 საუკეთესო მეორეადგილოსანი შეუერთდება. მეორეადგილოსანი გამოვლინდება მოგებების, შემდეგ კი ბურთების შეფარდების უმჯობესი შედეგით.

მე-2 ტურში ყველაზე დაძაბული პირველი შეხვედრა გამოდგა. პირველ ტურში 21 ქულით დამარცხებული კაკტუსი და რუსთავი შეხვდნენ. ქვემო ქართლელები პირველ ტურში ისვენებდნენ. რუსთავი კაკტუსთან სათამაშოდ 4 ლეგიონერით გავიდა სათამაშოდ, მაგრამ ისე ვერ გაისარჯნენ, რომ თამაში მოეგოთ.

მართალია, რუსთაველები თამაშისთვის განკუთვნილი დროის უმეტესობას იგებდნენ, მაგრამ ბოლო პერიოდში ჩამორჩნენ და კაკტუსელთა მწყობრ, შედეგიან გარჯას ვეღარაფერი მოუხერხეს. კრის ჯონსონმა და დავით ლომიძემ დეანდრე ჰარკსის დახმარებით გადამწყვეტ წუთებში იმდენი ქულა მიუთვალეს კაკტუსს, რომ არჩილ ჟღენტის გუნდმა გამარჯვებას მიაღწია – 83:82. ახლა კაკტუსი ჯგუფის ბოლო მატჩზეა დამოკიდებული, გავა თუ ვერა ნახევარფინალში.

ჰარკსმა 18 ქულა აიღო, ჯონსონი უფრო შედეგიანიც იყო და სარგებლიანიც – 22 ქულა და 10 მოხსნა. ლომის წვლილი კი, დავით ლომიძეს მიუძღვის – 20 ქულა, 7 მოხსნა, 8 პასი.

ქვედალიგელმა თსუ-ჰიუნდაიმ რიხიანად დაიწყო დინამოსთან თამაში, მაგრამ მხოლოდ 5 წუთი ეყო ძალები, საბოლოოდ კი, დიდი სხვაობით დამარცხდა – 56:86.

დინამოელთაგან ბერიშვილმა ორმაგი დუბლი მიითვალა – 12 ქულა, 10 მოხსნა, ხოლო კიდევ 3 კალათბურთელს იგივეს გასაკეთებლად ფარიდან ასხლეტილი თითო ბურთის მოხელთება დააკლდათ: ლონდარიძე (16ქ, 9მ), ტურპინი (13ქ, 9მ), გაჩეშა (22ქ, 9მ).

მეორე ტურის ბოლო შეხვედრაში ქუთაისმა გვარიანად იწვალა სუპერლიგის დებიუტანტ მარნეულის დელტასთან, თუმცა საბოლოოდ მაინც მოიგო – 89:80 და ამ ჯგუფშიც ინტრიგა ბოლო ტურამდე დარჩა.

მარნეულელებს ვერ უშველა ანთაძის ორმაგმა დუბლმა (24ქ, 10მ), ქუთაისელთაგან კი ჩინებულად გაისარჯნენ ლი (14ქ, 8პ), დვალიშვილი (13ქ, 10მ) და ბექაური (21ქ).

მოკლედ, ბოლო ტურის მატჩები გაარკვევს, თუ ვინ გავა ნახევარფინალში და განაგრძობს ბრძოლას დუდუ დადიანის თასის მოსაპოვებლად.

# ბაგრატმა ხარებს მოუგო და აია გაალიდერა

საქართველოს სარაგბო ჩემპიონატის მე-5 ტური ნაკლიული გამოდგა – ლოკომოტივი-ბათუმის შეხვედრა გადაიდო.

### აია-ჯიქი 14:7

აიამ ახალი სეზონის სტარტზე ზედიზედ მეხუთე თამაში მოიგო და სატურნირო ცხრილს უდანაკარგოდ ლიდერობს.

არადა, ჯიქი 68-ე წუთამდე ლიდერობდა, თუმცა უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და საბოლოოდ მხოლოდ ბონუსქულას დასჯერდა.

თამაში კი დაძაბული გამოდგა. შეცდომები ბევრი იყო, მაგრამ უფრო ხშირად სტუმრები სცოდავდნენ და მატჩიც ლოგიკური შედეგით დასრულდა.



საწყის 20 წუთში ბურთი სულ აიასი იყო, თუმცა ჯიქი თავის დაცვას ახერხებდა. ტაიმის შუაში კი, გორელებმა ლამაზი ლელოც გაიტანეს – ეს გიორგი ჯიმშელაძემ მოახერხა, ხოლო რეზი ბროძელმა გარდასახა. შესვენებამდე გიორგი ბაბუნაშვილმა ხელსაყრელი პოზიციიდან ორჯერ დაარტყა ჯარიმა, აქედან ერთი გაიტანა და ტაიმი სტუმრებმა 7:3 მოიგეს.

მეორე ტაიმის დებიუტში ბროძელს ჯიქის უპირატესობის გაზრდა შეეძლო, მაგრამ ჯარიმა ვერ გაიტანა. სამაგიეროდ ბაბუნაშვილი არ შეცდა და ჩამორჩენა მინიმუმამდე დაიყვანა, ხოლო 68-ე წუთზე მისივე მორიგი ჯარიმით აია დაწინაურდა.

ბოლოში აიამ ჯარიმის კარში დარტყმას ლელოზე არჩია თამაში, 5-მეტრა შერკინებიდან გიორგი როხვაძემ შეუტია და მიზანსაც უწია. გარდასახვა არაზუსტი იყო და ჯიქს 7 ქულიანი მარცხისთვის მხოლოდ ბონუსქულა შეხვდა – 14:7.

### ბაგრატი-ხარები 21:0

ქუთაისის ბაგრატმა რუსთავის ხარების გამარჯვებების სერია შეწყვიტა, რითაც თანაქალაქელი აია დი 10-ის მიმდინარე გათამაშებაში ერთადერთ დაუმარცხებელ გუნდად და სატურნირო ცხრილის ერთპიროვნულ ლიდერად დატოვა.

ელიტაში დაბრუნებულებმა რუსთაველებმა ზედიზედ 4 გამარჯვება მოიპოვეს, ხოლო ბაგრატმა ახალი სეზონის სტარტზე ოთხივე შეხვედრა დათმო. თუმცა, კონკრეტულად ამ თამაშს ქუთაისელები მობილიზებული შეხვდნენ და პირველი გამარჯვება ჩაიწერეს.

ამაში უდიდესი წვლილი ქუთაისელთა გარემარბ ზვიად ოდიშარიას მიუძღვის, რომელმაც ლელოთი, 3 ჯარიმით და ერთი გარდასახვით ბაგრატს 16 ქულა შესძინა.

ბოლო ლელო კი გიგი ლეშკაშელის იყო, რომელმაც რაქიდან ბურთი ლელოში გადადო – 21:0.

### აკადემია-ლელო 15:18

თბილისურ დერბიში აკადემია ლელო-სარასენსს დაუხვდა და დაძაბულ ბრძოლაში 15:18 დამარცხდა.

„მხატვრებმა“ სეზონის სტარტზე ხუთივე თამაში დათმეს, თუმცა უქულოდ ერთხელაც არ დარჩენილან, რადგან ყველა ჯერზე სხვაობამ 7 ქულაზე ნაკლები შეადგინა. ლელო-სარასენსმა კი ორმატჩიანი წარუმატებელი სერია შეწყვიტა და სეზონში მესამე გამარჯვება იზეიმა.

აქტიურ თამაშში პირველი ლელო მე-15 წუთზე გავიდა: აკადემიამ მოლით შეუტია და გიორგი გოგლიძემ ბურთი დაამიწა. სოსო მათიაშვილის გარდასახვა არაზუსტი იყო.

ირაკლი ყიასაშვილმა მასპინძლებს ჯარიმით 26-ე წუთზე უპასუხა, 33-ე წუთზე კი, ლელო-სარასენსმა ჯარიმის კარში დარტყმას ლელოზე თამაში არჩია, ახლა მან ააგორა მოლი და ის რევაზ დუგლაძემ დააგვირგვინა. ყიასაშვილის გარდასახვა არაზუსტი იყო, შესვენებამდე მათიაშვილმა ჯარიმა გაიტანა და ტაიმი 8:8 დასრულდა.

მეორე ტაიმის საწყისი წუთები აკადემიელების იყო. მართალია, მათიშვილს ჯარიმა გაუცუდდა, თუმცა 48-ე წუთზე გუნდს 7 ქულა შესძინა: მეტოქის 22-ში წარმოქმნილი არეულობით მასპინძლებმა ისარგებლეს, ფეხით გადაკიდებული ბურთი მათიაშვილმა მცველის ხელიდან მოხსნა და თავისივე ლელო რთული პოზიციიდან გარდასახა. ყიასაშვილმა ჯარიმით 55-ე წუთზე უპასუხა, ხოლო 63-ე წუთზე ლელო-სარასენსმა ლელო გაიტანა და გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვა.

### არმია-არმაზი 17:22

არმია 13 წუთის შემდეგ მეტოქეს 2 გარდასახული ლელოთი უგებდა, მაგრამ დარჩენილ დროში მონაგარს მხოლოდ 3 ქულა შემატა, არმაზმა კი, 3 ლელო, 2 გარდასახვა და 1 ჯარიმა გაიტანა და 22:17 იმარჯვა.

მე-2 წუთზე არმიელებმა მარჯვენა ფლანგზე ორჯერ შეძლეს უპირატესობის ხაზის გადაკვეთა, რაქიდან დავით გიგაურმა შეუტია და მისი ლელო შავლეგ მახარაშვილმა გარდასახა. მე-12 წუთზე გოდერძი ჭინჭარაულმა გაიბრწყინა: მან გადაცემა სისწრაფეში მიიღო, 4 მბოჭავი ცრუ მოძრაობებით გაიარა და მახარაშვილის გარდასახვა კვლავ ზუსტი იყო – 14:0.

არმაზმა 25-ე წუთზე ლამაზი ლელოთი უპასუხა: ბურთი მარცხენა ფლანგზე, უკანახაზელებმა ჩაათამაშეს და იერიში ვალერი ლეგაშვილმა დაასრულა, ხოლო რეზი ჯინჭველაშვილმა გარდასახა. 37-ე წუთზე მოედანზე ჩხუბი გაჩაღდა და რეფერიმ ინიციატორებს – არმაზის მეორეხაზელ ბექა ბარბაქაძეს და არმიას მესამეხაზელ ნიკო აფციაურს წითელი ბარათები უჩვენა.

ტაიმის მიწურულს ჯინჭველაშვილმა კარის წინ დანიშნული ჯარიმებიდან კარში დარტყმა ირჩია და ორი მცდელობიდან ერთი გაიტანა – 14:10.

არმაზი მეორე ტაიმის დებიუტში დაწინაურდა: ბადრი ლიპარტელიანმა სივრცე შენიშნა, ხაზი გაჭრა და ბექა ფრუიძეს გადაცემა არ დაუგვიანა, მან კი ბურთთან პირველი შეხება ლელოთი აღნიშნა. ჯინჭველაშვილის გარდასახვა არაზუსტი იყო. 50-ე წუთზე არმაზმა კიდევ ერთი ლამაზი ლელო გაიტანა. რადგან გუნდები მოედანზე კაცნაკლულები იყვნენ, დაცვაში მეტი სივრცე გაჩნდა, კობა ჯიმშელეიშვილმა და ნიკა წიკლაურმა ოფლოუდებით 40 მეტრი იარეს და ამ უკანასკნელმა ბურთი დაამიწა, ხოლო ჯინჭველაშვილმა გარდასახა.

მახარაშვილმა მეტოქეს 4 წუთში ჯარიმით უპასუხა და ჩამორჩენა 5 ქულამდე დაიყვანა, თუმცა დარჩენილ ნახევარ საათში ანგარიში აღარ შეცვლილა და სტუმრებმა თამაშში 22:17 მოიგეს.

# ვულკანის გამო ტურისტები ბალის ტოვებენ



დაივერებს შორის საკმაოდ პოპულარული კურორტი ამედი, კუნძულ ბალიზე, ტურისტებმა დატოვეს. ამის მიზეზი კი ვულკან აგუნგის შესაძლო ამოფრქვევაა, რომელიც კურორტიდან 15 კილომეტრში მდებარეობს.

ტურისტების ნაკლებობის გამო ზარალს განიცდიან პოპულარული ადგილის დაივ-ცენტრები, რესტორნები და სასტუმროები. ერთ-ერთ საინფორმაციო სააგენტოსთან საუბარში მათი მფლობელები აცხადებენ, რომ თუ ასეთი სიტუაცია კიდევ ცხრა თვე შენარჩუნდება, მათ თავიანთი დაწესებულებების დახურვა მოუწევთ.

აღსანიშნავია, რომ ბოლოს ვულკან აგუნგის ამოფრქვევა 1963 წელს მოხდა და მაშინ ბალიზე დაახლოებით 1000 ადამიანი დაიღუპა. თუმცა მას შემდეგ მეთევზეთა სოფლები პოპულარულ კურორტებად გადაიქცნენ. ბოლო წლებში კუნძულს წელიწადში 5 მილიონამდე ტურისტი სტუმრობდა.

# ბრიტანელებმა მაღაზიის მძარცველებს ქვები დაუშინეს



ბრიტანეთის ქალაქ ბირმინგემში ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ქვები დაუშინეს მძარცველებს, რომლებიც საიუველირო მაღაზიას დაესხნენ თავს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ოთხი ნიღბიანი უცნობი პირი იმ დროს შეიჭრა მაღაზიაში, როდესაც მისი მფლობელი სამუშაო დღის დასრულების შემდეგ კეტავდა. ერთ-ერთი მაჩეტეთი შეიარაღებული კარში ჩადგა, დანარჩენები კი ჩანთებში ძვირფასეულობას ყრიდნენ. მაღაზიის წინ მათ აუდი ს3 ელოდებოდათ.

ოთხ წუთში ქუჩაში მეზობლად მდებარე მაღაზიის თანამშრომლებმა და გამვლელებმა მოიყარეს თავი. როდესაც სამი მძარცველი მანქანაში ჯდებოდა, მათ ხალხმა ქვები და აგურები დაუშინა.

ადგილობრივებმა აუდის უკანა მინა ჩაამსხვრიეს და შეეცადნენ მანქანის კარის დახურვისთვის შეეშალათ ხელი. ამის მიუხედავად, დამნაშავეებმა მიმალვა მოახერხეს.

ერთ-ერთი თვითმხილველის მტკიცებით, საიუველირო მაღაზიის მფლობელი დაიჭრა. გარდა ამისა, ერთ-ერთმა ადგილობრივმა, რომელიც მძარცველების შეჩერებას ცდილობდა, ხელზე მსუბუქი დაზიანება მიიღო.

# პარიზელები მტრედების დასაცავად გაერთიანდნენ

პარიზის მცხოვრებლები გაერთიანდნენ, რათა თავიანთი მტრედები მტაცებლებისგან დაიცვან.

ეს უკავშირდება იმას, რომ პარიზის პრესტიჟული 10 არონდისმანის ხელმძღვანელმა რემი ფერომ მიიღო მტრედებთან ბრძოლის გადაწყვეტილება, რომლებიც, მისი აზრით, ზიანს აყენებენ ქალაქის ქონებას და მოქალაქეების ჯანმრთელობისთვის საფრთხეს წარმოადგენენ. ამისთვის ის ორ შევარდენსა და სამ მიმინოს იყენებს. ვარაუდობენ, რომ მტაცებლები ამ რაიონში მობინადრე ყველა მტრედს შეაშინებენ.

ფეროს გეგმამ პარიზელი მტრედების მოყვარულები და ცხოველთა დამცველები, ორგანიზაცია „მტრედების ელჩების“ წევრები და „ფრინველთა დაცვის ლიგა“ აღაშფოთა. მათ პეტიციას მოთხოვნით, შეჩერდეს პროექტი, უკვე 20.000-ზე მეტმა პარიზელმა მოაწერა ხელი. როგორც ცხოველთა დამცველები ვარაუდობენ, რემი ფეროს ჩანაფიქრის განხორციელების შემთხვევაში, დაზარალდებიან არა მხოლოდ მტრედები, არამედ ბეღურებიც.

# არგენტინელმა ბიჭმა სასტვენი გადაყლაპა და სტვენა დაიწყო



არგენტინის ტუკუმანის პროვინციაში საავადმყოფოში მიიყვანეს რვა წლის ბიჭი, რომელმაც სათამაშო სასტვენი გადაყლაპა.

სასტვენი ბავშვს ყელში გაეჩხირა და ყოველ ამოსუნთქვაზე უსტვენდა. უცხო სხეულის ამოსაღებად ქირურგიული ჩარევა გახდა აუცილებელი.

ამის ამსახველი ვიდეო ექიმმა სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა, რომელმაც მოკლე დროში ვირუსული პოპულარობა მოიპოვა. ის 6,6 მილიონზე მეტმა ინტერნეტ-მომხმარებელმა ნახა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

# რობერტ ლევანდოვსკი: „გერდ მიულერს 5 გოლი 9 წუთში არ გაუტანია“

დასაწყისი მე-9 გვერდზე



კარის ხაზიდან გამოტანა. ასე რომ, დარჩა 9 წუთში გატანილი 5 გოლი.

***– არის გოლი, რომელიც განსაკუთრებულად გახსოვს?***

– რასაკვირველია, ეს იყო მაკრატელა დარტყმით გატანილი მეხუთე გოლი. ყველაზე ლამაზი მოძრაობა 9 წუთის განმავლობაში სწორედ ეს გახლდათ. ბურთი ნახევარდაცვაში იყო, როდესაც მარჯვენა მხრიდან მარიო გიოტცემ არაჩვეულებრივად ჩააწოდა, იმ დროს მართლა არ ვფიქრობდი მაკრატელა დარტყმაზე, თუმცა ჩემ უკან ნალდო იყო და მეც საუკეთესო ვარიანტის არჩევა მსურდა, საბოლოოდ მაინც დარტყმა გადავწყვიტე და საკმაოდ ეფექტური გოლიც გამოვიდა.

***– მაშინდელი თამაშიდან საკმაოდ საინტერესო სურათები შემოგვრჩა – გაოცებული პეპ გვარდიოლას ხელები თავზე... რას გრძნობდი ამ დროს?***

– თამაშის დროს ამაზე არ ვფიქრობდი, ფოკუსირებული მხოლოდ გოლების გატანაზე ვიყავი და ვერც განვსაზღვრე, თუ ყველაფერი 9 წუთში მოხდა, სხვა სამყაროში ვიყავი. თითოეული გოლის შემდეგ ჩემს თავს ვეუბნებოდი – მოდი, გავაგრძელოთ. 3 დღის შემდეგ კი ისევ თამაში გვქონდა, სადაც გოლის გატანა კიდევ მოვახერხე.

***– როდის გააანალიზე, რომ საკუთარი თავი მსოფლიო ფეხბურთის ისტორიის წიგნში შეიყვანე?***

– მომდევნო 3 თვის განმავლობაში ინტენსიურ რეჟიმში გვიწევდა მატჩების ჩატარება, ამიტომ მხოლოდ საახალწლო პერიოდში დავჯექი და რეალურად ვიფიქრე ამის შესახებ.

***– თამაშის შემდეგ გქონდა ბურთი შენი თანაგუნდელების ხელმოწერით. უკავია მას განსაკუთრებული ადგილი შენს სახლში?***

– რა თქმა უნდა. ჩემმა თანაგუნდელებმა ამ ყველაფერში დიდი როლი ითამაშეს. ასევე შენახული მაქვს ბუცები, რომლებიც ვოლფსბურგთან თამაშის დროს მეცვა. ისინი ჩემი ტიტულების ოთახშია, რომელშიც ჩემი კარიერის სუვენირებს ვინახავ. წარმომიდგენია, რომ ის ბურთი და ბუცები ყველაზე დასამახსოვრებელ მოგონებად დარჩება და ხალხიც ხშირად მკითხავს იმ მატჩის შესახებ.

***– გატანილი 5 გოლის შემდეგ გინესის 4 სერტიფიკატი მიიღე. როგორ ფიქრობ, შეძლებს ვინმე ამ რეკორდის მოხსნას?***

– არ ვიცი, რომელი რეკორდები მოიხსნება მომავალში. ვფიქრობ, რომ ფეხბურთს მინიმუმ კიდევ 100 წლის განმავლობაში ითამაშებენ პროფესიონალურ დონეზე, ეს რეკორდები კი 2015 წელს დამყარდა.

***– გერდ მიულერმა ოთხჯერ მოახერხა ბუნდესლიგაში ხუთი გოლის გატანა.***

– ეს ბრწყინვალე შედეგია და ვთვლი, რომ ამის გარემოება ნებისმიერისთვის ძალიან რთულია. თუმცა მას 5 გოლი 9 წუთში არ გაუტანია.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ასტროპროგნოზი

## 4 ოქტომბერი



**ვერძი** – ნებისმიერი ფინანსური ოპერაციისათვის შეუფერებელი დღეა. არ იაქტიუროთ. **კურო** – ემოციები შეიკავეთ. აგიმაღლდებათ შრომისუნარიანობა. **ტყუპები** – პიროვნული მომხიბვლელობა ახალი საქმიანი კონტაქტების დამყარებაში დაგეხმარებათ. მამაკაცებს პირად ცხოვრებაში პრობლემები გექმნებათ. **კირჩხიბი** – ნებისმიერ საქმეს წარმატებით შეასრულებთ. ნუ ეცდებით ზედმეტი პასუხისმგებლობის აღებას. **ლომი** – გელით საინტერესო შეხვედრები. სასარგებლოა კოლექტიური საქმიანობა. **ქალწული** – წინააღმდეგობრივი დღეა. ფული მომჭირნედ ხარჯეთ. საყიდლებზე წასვლას დღეს არ გირჩევთ. **სასწორი** – შესაძლოა სამსახური ან შემოსავლის წყარო შეგეცვალოთ. მზად იყავით ახალი შემოთავაზებებისათვის. **ღრიანკალი** – შემოქმედებითი დღეა. თვითრეალიზაციას მშვენივრად ახერხებთ. სასიამოვნო იქნება ახალგაცნობილ ადამიანებთან ურთიერთობა. **მშვილდოსანი** – კომერციულ სფეროში გიმართლებთ. ნუ გარისკავთ. **თხის რქა** – პატიოსნად იშრომეთ, ნურავის მოატყუებთ. კარგი დღეა საყიდლებზე წასასვლელად. **მერწყული** – პერსპექტიული დღეა. გეგმების განხორციელებაში პლანეტები ხელს გიწყობენ. **თევზები** – იმედი გიცრუვდებათ. ნურაფერს დაგეგმავთ. მოვლენები არ დააჩქაროთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. სხვადასხვა ოპერებიდან აღებული მუსიკალური ნაწყვეტებისგან შექმნილი ძველებური იტალიური ოპერა; 2. ბუნებრივი ნაკრძალის სახელწოდება ზოგიერთ ქვეყანაში; 3. ებრაელთა უბანი ძველ თბილისში; 4. მოჩვენებითი მამაცობა; 5. ქართული ზღაპარი; 9. ებრაელთა დიდი რელიგიური დღესასწაული; 11. ქართული ხალხური სანადიმო სიმღერა; 12. იაპონური მაფია; 14. მოხეტიალე ქართველი მევიოლინე, მომღერალი, მუსიკოსი; 18. ავი, ანჩხლი დედაკაცი; 19. აღმოსავლურ ინსტრუმენტებზე დამკვრელთა პატარა ჯგუფი.

**თარაზულად**: 4. ერბოში ჩახარშული ყველისგან მომზადებული აჭარული კერძი; 5. ქართველი მგოსანი; 6. ხელის გამომხატველობითი მოძრაობა; 7. ქართული ტელეკომპანია; 8. მეზღვაურთა, მეთევზეთა მფარველი ღვთაება ქართულ მითოლოგიაში; 10. ტიბეტის ადმინისტრაციული ცენტრი; 13. გურულების, აჭარლების ძველებური ჩოხა; 15. რაიმე ფაქტის, მოვლენის ერთ-ერთი ახსნა; 16. იტალიელი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 17. დარიშხანის საბადო ლენტეხის რაიონში; 20. თაფლიანი ფიჭა; 21. ინდური კანაფისგან დამზადებული ნარკოტიკი; 22. მსხვილი სამრეწველო-ფინანსური გაერთიანება; 23. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჰიმენე; 2. გარდა; 3. სპაზმი; 4. მულამი; 6. მორიელი; 9. თართი; 11. მაზანდა; 15. სენკევიჩი; 16. ესკიზი; 17. ქაშანური; 19. იქთიოლი; 21. ბალზამი; 22. ტონიკი.

**თარაზულად:** 5. ვიქტორია; 7. ოლოგია; 8. მლვიმე; 10. კარკასი; 12. მრუმე; 13. ურანი; 14. ზეთისხილი; 18. ამანი; 20. ასუანი; 23. დოკერი; 24. ლემა; 25. ბიზონი; 26. კიჩო; 27. იმერეთი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. თურინჯი; 2. ბორისფენი; 3. ფორსინგი; 4. ნეილონი; 5. ფაველა; 9. პრიორი; 11. მურტალო; 12. კოპიჭი; 14. ღერღილი; 18. „ონიმა“; 19. მწვანე.

**თარაზულად:** 4. ნადუღი; 5. ფიტოფაგი; 6. შონია; 7. ლიგნიტი; 8. პიკაპი; 10. ასთმა; 13. ჯუღელი; 15. ფადიკო; 16. გეტა; 17. პინო; 20. ღვაწლი; 21. „დინამო“; 22. კამბალა; 23. ნოველა.

# ქართველმა მან-სან-კანელებმა პირველი ადგილი დაიკავეს




ლატვიის დედაქალაქ რიგაში მხიარულთა და საზრიანთა ნაკრებების კონკურსი გაიმართა.

რიგაში „კავეენის" საერთაშორისო ტურნირში საქართველოს „კავეენის" ნაკრებმა პირველი ადგილი დაიკავა.

„რიგის მერის თასი" – ასე ეწოდება კონკურსს, სადაც ქართველმა მან-სან-კანელებმა პირველობა არავის დაუთმეს.

კონკურსში მონაწილეობდნენ გუნდები ისრაელიდან, ბრიტანეთიდან, გერმანიიდან...

საქართველოს მხიარულთა და საზრიანთა ნაკრებს უკვე მოპოვებული აქვს „კავეენის" უმაღლესი ლიგის ნახევარფინალის საგზური და გუნდის წევრები ოქტომბერში მოსკოვში გასამგზავრებლად ემზადებიან.

# ანსამბლი „დაისი" პოლონეთის „ნიჭიერის" ნახევარფინალშია



პოლონეთის „ნიჭიერში" ანსამბლი „დაისი" მონაწილეობს. ქართული ცეკვით ანსამბლის წევრებმა ჟიურიც და დამსწრე საზოგადოებაც ისე აღაფრთოვანეს, რომ 3 კიც დაიმსახურეს და მქუხარე ოვაციებიც.

ანსამბლ „დაისის" მოცეკვავეები უკვე პოლონური „ნიჭიერის" ნახევარფინალში არიან და პროექტში გამარჯვებისთვის ბრძოლას აგრძელებენ.

# ეროვნული არქივი ოპერისა და ბალეტის თეატრის სპექტაკლებს ჩაწერს



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივი თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლების აუდიო-ვიდეო ჩანაწერებს შექმნის.

ამ საკითხზე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ხელი მოაწერეს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა და დირექტორმა ბადრი მაისურაძემ და ეროვნული არქივის გენერალურმა დირექტორმა თეონა იაშვილმა.

მემორანდუმის ფარგლებში ეროვნული არქივი საოპერო და საბალეტო სპექტაკლების ჩანაწერებს საკუთარ ფონდებში შეინახავს. მკვლევართა დარბაზის მეშვეობით მასალა ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში ოპერის თეატრი არქივს გადასცემს სპექტაკლების აფიშებს, პროგრამებს და ყველა სხვა მედიამასალას. ამით, ერთი მხრივ, გაიზრდება ოპერის სახელმწიფო თეატრის დოკუმენტების დაცულობა და, მეორე მხრივ, გამდიდრდება ოპერისა და ბალეტის თეატრის საარქივო ფონდი, რომელსაც ეროვნული არქივი ინახავს.

არქიტექტორ ლერი მეძმარიაშვილის ინიციატივითა და ოპერის თეატრის სახელით ეროვნულ არქივს 1974-79 წლების თბილისის ოპერის თეატრის შენობის აღდგენა-რესტავრაციის სრული საარქივო მასალა, გეგმები, ნახაზები, კონცეფცია და სხვა დოკუმენტაცია გადაეცემა.

# ლეღვთახევი ნაგვითაა სავსე

საქართველოს და მის დედაქალაქს როდესაც ათასობით ტურისტი სტუმრობს და ქართული კულტურით ტკბება, დედაქალაქის შუაგულში, ლეღვთახევი ნაგვითაა სავსე.

რეჟისორი დავით ცინცაძე ლეღვთახევის ფოტოს ნატალი ანდრონიკაშვილის ალბომიდან ავრცელებს და ასეთ ქმედებას პროვინციალიზმის გამოვლინებას უწოდებს:

– პროვინციალიზმის გამოვლინების აშკარა ფოტო ფაქტი, როგორც მოქალაქეების მხრიდან, ასევე თბილისის ოფიციალურ სტრუქტურებში მომსახურე მოხელეების მხრიდან, რაც ასევე მეტყველებს თბილისის მერიის სისტემის არასრულფასოვნებაზე... და ევროპაში გვინდა, რომ ვიცხოვროთ... ნაგვითაა სავსე ლეღვთახევი, პირდაპირ ბოტანიკურის გადმოსახედიდან ყრიან დაბლა ნაგავს... ერთადერთი სანაგვე ურნაა და ისიც პირამდე სავსე იყო დილის 11 საათზე.

# გერმანიაში ქართული კინოს დღეები მიმდინარეობს




საქართველოს და გერმანიის მეგობრობის წლის ფარგლებში, ბერლინში კინოთეატრ „არსენალში" ქართული ფილმების რეტროსპექტივა მიმდინარეობს. ქართული კინოს დღეები ლანა ღოღობერიძის ფილმით „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე" გაიხსნა. ფილმს „არსენალის" მიერ ჩაუტარდა რესტავრაცია და გადატანილია ციფრულ ფორმატში.

ჩვენებამდე სიტყვით ლანა ღოღობერიძესთან ერთად გამოვიდა „არსენალის" წარმომადგენელი შტეფანი შულტე შტრატჰაუსი.

ქართული კინო „არსენალის" კოლექციიდან – ასეთია ღონისძიების დევიზი, რომლის ფარგლებშიც ბერლინი 19 დღით ქართული კინოს ეპიცენტრად გადაიქცევა.

XX საუკუნის 70-იანი წლებიდან „არსენალის" დამფუძნებლებს ერიკა და ულრიხ გრეგორებს ქართულ კინოსთან განსაკუთრებული დამოკიდებულება აკავშირებთ. მათი შეფასებით, ქართული კინოფენომენი მსოფლიოს კინემატოგრაფში გამორჩეულია.

გერმანული „არსენალი" რუსული „გოსფილმოფონდის" შემდეგ მსოფლიოში სიდიდით მეორე კინოფონდია, რომელიც ქართულ ფილმებს იცავს. არსენალის არქივში ქართველი რეჟისორების 130 ფილმი ინახება.

„არსენალმა" 2017 წლის რეტროსპექტივისთვის 3 ქართულ ფილმს ჩაუტარა რესტავრაცია და გადაიტანა ციფრულ ფორმატში. ეს ფილმებია: მერაბ კოკოჩაშვილის „დიდი მწვანე ველი", ლანა ღოღობერიძის „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე" და დიტო ცინცაძის „ზღვარზე".

სამივე ფილმის პრეზენტაცია ოქტომბერში კინოთეატრ „არსენალში" რეჟისორებთან ერთად მოხდება.

რეტროსპექტივის პროგრამაშია ასევე ოთარ იოსელიანის ბოლო ფილმი. გერმანული საზოგადოება არაერთ ფილმთან ერთად ნახავს ნუცა ღოღობერიძის და სალომე ალექსი-მესხიშვილის ნამუშევრებსაც.

კვირეულის ფარგლებში დაიგეგმა დისკუსია ერიკა და ულრიხ გრეგორების და კინოსტუდია „ქართული ფილმის" წარმომადგენლის ხათუნა ხუნდაძის მონაწილეობით.

# ანჩისხატის ინტერიერის ქვის საკონსერვაციო სამუშაოების მესამე ეტაპი დასრულდა




საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ თბილისის ანჩისხატის ეკლესიის ინტერიერის ქვის საკონსერვაციო სამუშაოების მესამე ეტაპი დაასრულა. სამუშაოები, რომელიც ჩრდილოეთ კედლის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებზე მიმდინარეობდა, თბილისის სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ნიმუშთა კონსერვაციის ცენტრის რესტავრატორების მიერ განხორციელდა.

ტაძარში გაიწმინდა ქვის ზედაპირი, მოიხსნა ცემენტის ხსნარი, ნაკლული ადგილები კი კირხსნარით შეივსო. გაერთიანდა ფრაგმენტული ქვის ზედაპირი.

წინასარესტავრაციო სამუშაოების დროს ძეგლზე აქტიურად გამოიყენებოდა ცემენტის ხსნარი, რაც იწვევდა ქვის ზედაპირზე მარილის გავრცელებას. აღნიშნული ხსნარი მექანიკურად მოიხსნა და ჩანაცვლდა კირხსნარით. ქვის ზედაპირზე არსებული მტვრის ფენის ნადები, რესტავრატორებმა მექანიკური დამუშავების მეთოდით, მტვერსასრუტით ჩამოწმინდეს. გამყარებული ნალექი კი მექანიკურად, ლანცეტის საშუალებით მოიხსნა. ფრაგმენტირებული ქვის ნაწილები და ზედაპირი გაერთიანდა მინაბოჭკოვანი ანკერებისა და ეპოქსიდური რეზინის გამოყენებით. ფრაგმენტები დაიფარა ორკომპონენტიანი ეპოქსიდური რეზინით და ავთენტურ ადგილას დამონტაჟდა.

ანჩისხატის ინტერიერის ქვის საკონსერვაციო სამუშაოები ცნობილი იტალიელი რესტავრატორის სტეფანო ვოლტას კონსულტაციების საფუძველზე, არქიტექტორ-რესტავრატორი, სამხატვრო აკადემიის კონსერვაციის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დირექტორის ნანა კუპრაშვილის ხელმძღვანელობით წარიმართა.

# მოზარდ მაყურებელთა თეატრის სცენაზე კუდიანებზე ნადირობა იწყება

მოზარდ მაყურებელთა თეატრი უფროსი ასაკის მაყურებელს არტურ მილერის გახმაურებული პიესის „სეილემის პროცესის" ადაპტირებულ სცენურ ვერსიას სთავაზობს.

ისტორიული დრამის პრემიერა 5 და 6 ოქტომბერს თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ქართული პროგრამის ფარგლებში შედგება. პრემიერის დღეებში სპექტაკლი ინგლისური სუბტიტრებით იქნება წარმოდგენილი.

სპექტაკლში, რომლის რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილია, გადმოცემულია 1692 წელს მასაჩუსეტის პატარა ქალაქ სეილემში მომხდარი ტრაგედია, პატარა გოგონების თითქოსდა უწყინარი „ბავშვური" თამაში, რომელიც საბოლოოდ დრამატულ სასამართლო პროცესში გადაიზარდა. ორად გახლეჩილი საზოგადოება, „კუდიანებზე ნადირობა" და ადამიანთა ბედით თამაში, სიყვარული და შურისძიება, უფლის სახელით ჩადენილი ცოდვა და ცხოველური ვნებები, რომელსაც ხალხი მასობრივ ისტერიამდე მიჰყავს.




პიესის თარგმანი ქეთევან ლორთქიფანიძეს და თემურ ჩხეიძეს ეკუთვნით, დამდგმელი რეჟისორი და ადაპტირებული სცენური ვერსიის ავტორი დიმიტრი ხვთისიაშვილია, მხატვარი ლომგულ მურუსიძეა, მუსიკალური გამფორმებელი ზურაბ გაგლოშვილი, ქორეოგრაფი გია მარღანია, რეჟისორი თანაშემწე თამაზ ქარაული.

სპექტაკლში მონაწილეობენ ნუგზარ ყურაშვილი, ვახო ჩაჩანიძე, თამარ მამულაშვილი, თეკლა ჯავახაძე, მარიამ ჩუხრუკიძე, ვახტანგ ნოზაძე, გიორგი კაჭახიძე, ქეთი ჩაჩუა, იაკო ჭილაია, ნათია კუპატაძე...

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## მალამო „მენტორი პირველი"

**ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი" გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რავმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოლოს ნაკბენის დროს.**

**გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.**

## სითხე მენტორი — 4

**დაზიანებული თავის კანის შესაზელი სითხე მენტორი 4. წამალი იცავს თავს გამელოტებისაგან. გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: თავის კანის სოკოვანი დაავადება, ქავილი, ქერტლი, ყურის ქავილი, სებორია.**

**გამოყენების წესი: თავის დაბანის შემდეგ თმა უნდა გაიმშრალოთ და სითხე მენტორი 4 უნდა შეიზილოთ თმის ძირებში. ის აღადგენს დაზიანებულ თავის კანს, ქრება ქავილი, ქერტლი, აწყნარებს თავის კანს და ამაგრებს თმის ძირებს.**

☎ 599-73-48-21

## პროგრამა

ოთხშაბათი
4 ოქტომბერი

**06.00** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **06.30** დოკ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა მორგან ფრიმანთან ერთად **07.30** "ნამდვილი დრო" **08.00** ანიმაცია. "მხიარული ფერმა" **09.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **10.00, 03.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.30, 04.10** დღის მხ/ფ "**გზა მაღალი საზოგადოებისკენ**" (ს.სინიორე) **14.30** "საუკუნის პორტრეტები" **15.00** დოკ/ფ "მზის შტორმი" **16.15** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **17.00** ტ/სერ. "**ოფისი**" **18.30** "ტელებლოგი" **20.40** "სპორტის დაფა" **21.00** "არჩევნები" **22.30** ტ/სერ. "**ამერიკული ოდისეა**" **23.30** მხ/ფ "**ელიზიუმი**" (ჯ.ფოსტერი) **01.30** მხ/ფ "**სნაიპერი. მემკვიდრეობა**" (ტ.ბერენჯერი)

**ტექნიკური მიზეზების გამო არხის პროგრამას ვერ გთავაზობთ.**

**06.30, 16.00** სერ. "**ტყუილი**" **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.45** ქრონიკა **10.10, 14.40** სერ. "**ელიფი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. "**ხაფანგი**" **18.50, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**ძმა**" **22.00** პრაიმშოუ **23.30** მხ/ფ "**სიყვარული ინგლისურად**" **01.20** მხ/ფ "**ჯოჯოხეთი**" **04.00** მხ/ფ "**დიდი ოსტატი**"

**06.00, 18.50** სერ. "**დესპოტი ქმარი**" **07.00, 20.03** სერ. "**დედამთილი**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ფერიჰას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**წარსულის ჩრდილი**" **16.55** სერ. "**უსასრულო მოლოდინი**" **22.00** ნანუკას შოუ **00.00, 01.00** მხ/ფ **01.30** კურიერის დაიჯესტი **02.00** მხ/ფ

**08.00** ან/ფ "ატომი" **09.00** სერ. "**ცისფერი სისხლი-2**" **11.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები-2**" **13.00** სერ. "**ძვლები 8**" **17.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება: საზღვარგარეთ**" **19.00** სერ. "**ცისფერი სისხლი-2**" **21.00** სერ. "**სპირალი 3**" **22.30** სერ. "**ბორჯია**" **00.30** მხ/ფ "**ოუშენის თერთმეტი მეგობარი**" **02.20** მხ/ფ "**ოუშენის თორმეტი მეგობარი**" **04.15** მხ/ფ "**ოუშენის ცამეტი მეგობარი**" **06.05** მხ/ფ "**ტელევიქტორინა**"

**08.00** ანანდა **08.10** მულტფილმი **08.20** მულტ/სერ. "დინოფროზი" **09.00** სერ. "**ბანდოლერა**" **10.40, 11.40, 12.40, 20.55, 22.55** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00, 01.00, 04.40** ახალი ამბები **12.00, 2.00** ბიზნესკოდი **14.30** ექიმის საათი **15.00, 01.10** მოდი გავეყაროთ **16.00, 2.45** ფაბრიკა **18.30** სერ. "**ყველაფერი ცხოველების შესახებ**" **19.55** მე რომ ვიყო **20.00** თოქ შოუ "ცენზურის გარეშე" **21.00** სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის**" **22.00** სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" **23.00** ინეტრვიუ ვანიჩკასთან **00.00** სერ. "**შავი სია**" **3.45** ცენზურის გარეშე

**06.15** დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** დ/ფ "ველური ბუნება-ლომების სიახლოვეს" **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10** ეპოქა და ადამიანები "ცასწავალა...გოდერძი ჩოხელი" **10.40** საქართველოს დაცული ტერიტორიები-ლაგოდეხის დაცული ტერიტორია" **11.10** წმინდანები "წმინდა ათონელი მამები" **12.10** ღია აუდიტორია **13.00** გაცოცხლებური წარსული "ერისიონი" **13.30** ან/ფ "პოკახონტესი" **14.40** გამოყენებითი ხელოვნება "დაღესტნური ჭედურობა" **15.05** ქართული ან/ფ **15.25** დ/ფ "ბარტ ვულფი-სამი საოცარი დღე ბონაში" **15.50** კონცერტი **17.10** ერთსულოვანი ოჯახი "ჯარჯი ფხოველი" **17.40** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **18.10** დ/ფ "ხომლი-რკონი" **18.40** ძველი აღთქმის განმარტება **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.15** მხ/ფ "**გიორგობის თვე**" **20.35** ძილი ნებისა "წმინდა გიორგი მთაწმინდელი" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.20** ქვიშით ნაამბობი **21.35** ეპოქის სახელები **22.20** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკ. მხ/ფ "**თავადის ქალი მაია**" **23.40** ღვთის სახლი "სიმონ კანანელის სახელობის ტაძარი" **00.00** საეკლესიო კალენდარი **00.30** "ჟურნალისტის დღიური-აფთარი, თ.აბულაძე მონანიება" **01.30** მხ/ფ "**ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა**"

მაესტრო **10.00 - 23.00** ახალი ამბები - მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.12 - 03.00** ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.30 - 17.30 - 03.30** ბიზნესი (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.45 - 03.45** ტექნოლოგიები (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.48 - 03.50** სპორტი (განმეორება ყოველ ერთ საათში)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**4 ოქტომბრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4764

ევრო — 2.9075

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2941

100 რუსული რუბლი — 4.2743

## ამინდის პროგნოზი 4 ოქტომბრისთვის





## 3 ოქტომბრიდან




იორამ ჩადუნელი

# საზღაური

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

## 28 სექტემბრიდან

მანანა ხვედელიძე

# ძველი ეგვიპტის ენციკლოპედია




ფასი გაზეთთან ერთად 16 ლარი


## ბაიერნის მწვრთნელი შესაძლოა ლუის ენრიკე გახდეს



მიუნხენის ბაიერნის მთავარი მწვრთნელი შესაძლოა ლუის ენრიკე გახდეს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბაიერნის ხელმძღვანელობა დაუკავშირდა ლუის ენრიკეს, თუმცა თვითონ ესპანელი სპეციალისტი ამ ინფორმაციას არ ადასტურებს.

ამჟამად ბაიერნი მწვრთნელის გარეშეა და მწვრთნელის მოვალეობას დროებით ვილი სანიოლი ასრულებს. პსჟ-სთან გამანადგურებელი ანგარიშით მარცხის შემდეგ კარლო ანჩელოტი თანამდებობიდან გაათავისუფლეს და ბაიერნი ახალი მწვრთნელის ძიებაშია.

ყველაზე რეალურ კანდიდატად ტომას ტუჰელი სახელდება, რომელიც წლების განმავლობაში დორტმუნდის ბორუსიის თავკაცი იყო.

## მანჩესტერ იუნაიტედი ზამთარში ოზილის ყიდვას შეეცდება



მანჩესტერ იუნაიტედი არსენალის ნახევარმცველ მესუთ ოზილით დაინტერესდა, რომელსაც, სავარაუდოდ, არსენალიდან წასვლა სურს. ოზილის ყიდვას მანჩესტერელები ადრეც ცდილობდნენ, მაგრამ მათ საწადელს ვერ მიაღწიეს.

ბოლო პერიოდში ოზილი არასტაბილური თამაშით გამოირჩევა და მას ხშირად აკრიტიკებენ იმის გამო, რომ მოედანზე ბოლომდე არ იხარჯება.

მიუხედავად ამისა, გერმანელი ნახევარმცველის შეძენა ბევრ გუნდს სურს და მათ შორის ყველაზე მეტად მანჩესტერ იუნაიტედი აქტიურობს, რომელმაც წლევანდელი სეზონი ძალიან კარგად დაიწყო და 7 ტურის შემდეგ იუნაიტედი პრემიერ ლიგას ლიდერობს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## ჩინეთში ფერმიდან 78 ნიანგი გაექცათ



ჩინეთის სიჩუანის პროვინციაში მდებარე ფერმიდან 78 ახალგაზრდა სიამის ნიანგი გაიქცა. ვოლიერის შესაკეთებელი სამუშაოების დროს შემთხვევით გადაბრუნდა კონტეინერი, რომელიც პატარა რეპტილიებით იყო სავსე. 78 ნიანგი თავისუფლებაზე აღმოჩნდა. საბოლოოდ მათი უმრავლესობა დაიჭირეს, მაგრამ ხუთმა მაინც მოახერხა თავისუფლებაზე დარჩენა.

პროვინციის ხელისუფლებამ სამძებრო ჯგუფები შექმნა და იმედი აქვთ, რომ ან ცოცხალ რეპტილიებს დაიჭერენ, ან იმის დამამტკიცებელ საბუთებს, რომ ნიანგები დაიღუპნენ.

ახალგაზრდა სიამის ნიანგები ადამიანებისთვის საფრთხეს არ წარმოადგენენ, თუმცა, თუ ისინი გადარჩებიან და მდინარემდე მიაღწევენ, გაზრდას და გამრავლებას შეძლებენ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*



## იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რაში სჭირდება ადამიანს 12 მეტრი სიგრძის ნაწლავები?

– ცხელმა ჩაიმ რომ არ დაუმდუღროს.

●●●

ბავშვი აფთიაქში კითხულობს:

– რაიმე ტკივილგამაყუჩებელი გაქვთ?

– რა გტკივა?

– ჯერ არაფერი, მაგრამ მამა მალე მშობელთა კრებიდან დაბრუნდება და...

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:

– კომპასი რატომ გატეხე?

– შენი მითითებები არ მეყოფოდა???

●●●

პოლკოვნიკი სამხედრო ნაწილის შემოწმებაზე მყოფ გენერალს მიღწეული წარმატებების შესახებ მოახსენებს, განსაკუთრებით კი დისციპლინის განმტკიცების საქმეში. ამ დროს კაბინეტის კარი იღება, თავს ჯარისკაცი შემოყოფს და პოლკოვნიკს ეუბნება:

– შენ მანქანას წავიყვან რა?

პოლკოვნიკი გაოგნებულ გენერალს მიუბრუნდა და ეუბნება:

– აი, ხედავთ?! ერთი წლის წინ, არც კი შემეკითხებოდა!

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ფოტოსურათზე ამ ადამიანს ხედავ?

– დიახ.

– საღამოს 6 საათზე საბავშვო ბაღიდან წამოიყვან!

●●●

დედა შვილს ეჩხუბება და ეუბნება:

– თუ ტირილს გააგრძელებ, ავდგები და სხვა კარგსა და მშობლების დამჯერ ბავშვში გაგცვლი!

– არ გამოვა!

– ვითომ რატომ?

– იმიტომ, რომ სად ნახავ ისეთ სულელს, რომელიც კარგი ბავშვის ცუდში გაცვლაზე დაგთანხმდება?

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*


## 5 ოქტომბრიდან




# რჩეული ქართული ზღაპრები

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი


## ბარაკ და მიშელ ობამები მანჰეტენზე ბინის ყიდვას აპირებენ



ბარაკ და მიშელ ობამები მანჰეტენზე ისტორიულ შენობაში აპარტამენტებს არჩევენ. ამ ინფორმაციას სანდო წყაროზე დაყრდნობით ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

გამოცემის მონაცემებით, აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი და მისი მეუღლე ზემო ისტ-საიდში მისამართზე გრეისი-სკვერში მდებარე ერთ-ერთ სახლში ნახეს. ეს არის 15 სართულიანი შენობა, რომელიც 1930 წელსაა აშენებული. სახლში სულ 43 ბინაა.

აღსანიშნავია, რომ ადრე აპარტამენტები, რომელთა ღირებულება 10 მილიონ დოლარს შეადგენს, გასაყიდად ერთ-ერთმა ნიუ-იორკულმა სააგენტომ გამოიტანა. ბინაში ხუთი საძინებელი, ოთხი სააბაზანო ოთახი და ბიბლიოთეკაა ბუხრით.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## გარეტ ბეილი საქართველოს ნაკრებთან არ ითამაშებს

გარეტ ბეილი საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ შეხვედრას ტრავმის გამო გამოტოვებს. ექიმებს ბოლომდე ჰქონდათ იმედი, რომ უელსის ნაკრების ლიდერი თამაშს შეძლებდა, მაგრამ ბეილმა ტრავმის მოშუშება ვერ მოახერხა.



უელსელებისთვის ბეილის არყოფნა უდიდესი დანაკლისია და მის გარეშე უელსის ნაკრებს ყოველთვის უჭირს წარმატებისთვის მიღწევა. საქართველოსთან შეხვედრა უელსისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მათ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის რეალური შანსი აქვთ.

საქართველოს ნაკრები უელსის ეროვნულ გუნდს 6 ოქტომბერს დაუპირისპირდება.

## კროსვორდი ა



**შვეულად**: 1. ცნობილი ფრანგი ბალეტმეისტერი; 2. დეტექტიური ჟანრის ამერიკელი მწერალი; 3. რაიმეს განვითარების საფეხური, პერიოდი; 4. ყინულის ძველი ქართული სახელწოდება; 6. ღრმა, ვიწრო ხეობა; 9. კურსი, რომლითაც ბანკი აწარმოებს ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვას; 11. გემის გამაწონასწორებელი ტვირთი; 15. ბალნეოლოგიური კურორტი აზერბაიჯანში; 16. მოკლემეტრაჟიანი კინოფილმების საერთაშორისო ფესტივალი საქართველოში; 17. ცილისმწამებლური, შეურაცხმყოფელი სტატია, პუბლიკაცია; 19. ზღვისპირა კურორტი ლატვიაში; 21. ეკლესია, სამლოცველო; 22. ლიხტენშტეინის დედაქალაქი.

**თარაზულად**: 5. პირველი მაჯის საათების შემქმნელი გერმანელი მექანიკოსი. 7. მაღალხარისხოვანი ყავის ერთ-ერთი ჯიში; 8. სინათლის შემსწავლელი ფიზიკის ნაწილი; 10. ტერიტორიული ერთეული შვეიცარიაში; 12. შიშველი, წვეტიანი კლდე; 13. უძრავი ქონების დროებით დაქირავება; 14. ინგლისელი კომიკოსი; 18. შვედური მსუბუქი ავტომობილი; 20. ებრაელთა დიდი რელიგიური დღესასწაული; 23. პოეტ ნიკოლოზ რაზიკაშვილის ლიტერატურული ფსევდონიმი; 24. მუსლიმთა წმინდა ქალაქი ირანში; 25. სამხედრო-საზღვაო პოლიგონი საქართველოში; 26. დარიშხანის საბადო ლენტეხის რაიონში; 27. იმერეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*